საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 15 იანვარი. 2019 წ. №9 (8675) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

მომავალ „თბილისობას“ შევხვდეთ დავით აღმაშენებელთან ერთად!

თბილისის საპატიო მოქალაქეების ღია წერილი თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ კახა კალაძეს



ბატონო კახა!

გვეგონა, რომ „ოცნების“ ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი რიგის საკითხი დიდი ქართველი მეფის, ერის სიამაყის დავით აღმაშენებლის დიღმის სატრანსპორტო და არქიტექტურულ-ურბანული ქაოსიდან მის ძველ საუფლოში გადმოტანა იქნებოდა. გადის მეშვიდე წელი, იცვლებიან მთავრობის ხელმძღვანელები, თბილისის მერები, საკრებულო და მისი თავმჯდომარეები, მდგომარეობა უცვლელია. დღემდე შედეგი არ მოჰყოლია ათეულობით ღია წერილს, ტელეგადაცემებს, მიმართვებს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის, თბილისის მერის დავით ნარმანიასადმი, რომლებსაც ხელს აწერენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები, კომპოზიტორები, პედაგოგები, მსახიობები, რეჟისორები, საზოგადო მოღვაწეები.

დიდად სამწუხაროდ, არც თბილისის მერიის ახალი ხელმძღვანელობა და საკრებულო დღემდე ვერ იჩენს საჭირო ინტერესს ამ საკითხისადმი.

გაუგებარია ასეთი დამოკიდებულება დიდი მეფისადმი. საიდან ასეთი უპატივცემულობა დიდი ქართველი მოქანდაკის, „ქართველ მიქელანჯელოდ“ სახელდებულ (სხვათა შორის, უცხოელების მიერ), მერაბ ბერძენიშვილისადმი — ადამიანისადმი, რომელსაც საფლავში დარდად ჩაჰყვა ის, რომ „დავით აღმაშენებელს ტოვებდა დიღმის ტრასაზე“. შვიდწლიანი უმოქმედობით და უყურადღებობით მთელი საზოგადოება გახდა სააკაშვილი-უგულავას „ძეგლებთან ბრძოლის“ თანამონაწილე და დამკანონებელი.

კაცობრიობა საუკუნეების მანძილზე ისტორიულ მოვლენებს და ქვეყნის გამოჩენილ მოღვაწეთა ღვაწლს მონუმენტებით და მემორიალებით აღნიშნავს. დრომ, დიდმა ხუროთმოძღვრებმა და მოქანდაკეებმა ჩამოაყალიბეს მონუმენტისა და ურბანულ-ლანდშაფტური გარემოს ჰარმონიის წესები და კანონები. ესაა: ძეგლის გარემოსთან თანამასშტაბურობა, ფონის სისუფთავე, სიმშვიდე.

ადგილის „სისუფთავე“ პირდაპირ კავშირშია დაფასებასთან, ღირსებასთან.

დავით აღმაშენებლის ძეგლის დღევანდელი დისლოკაცია აბსოლუტურად საწინააღმდეგოა ამ წესებისა.

კულტურა არ არის მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სფერო. კულტურა არ აწყობს რევოლუციებს და გადატრიალებებს, მაგრამ ის აქტიურად და მკაფიოდ აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს, საზოგადოებრივ განწყობილებას. **ამის ნათელი დადასტურება იყო საპრეზიდენტო არჩევნები.**

შერჩეულია ძეგლის ადგილი თავად მერაბ ბერძენიშვილის მიერ. ადგილი შეთანხმებულია ყველა სატრანსპორტო უწყებასთან, შექმნილია ესკიზური პროექტი მისივე მონაწილეობთ. არსებობს მყარი საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

საჭიროა გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება. **მომავალ „თბილისობას“ მაინც შევხვდეთ დავით აღმაშენებელთან ერთად!..**

ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქეები:

გიგა ბათიაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ელგუჯა მეძმარიაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, დემიკო ლოლაძე, ალი ისაევ-ავარსკი, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, ჯემალ ჭკუასელი, გია ჯაფარიძე, ძეთი დოლიძე, ომარ ნაფეტვარიძე, თენგიზ უთმელიძე, თემურ წიკლაური, გივი თოიძე, ძეთი მატაბელი, როინ მეტრეველი, თამაზ გერსამია, გიორგი კვესიტაძე, გივი შახნაზარი, მურაზ მურვანიძე, ჯანო გაგრატიონი, თემურ ჩალაბაშვილი, ჯამლეტ ხუხაშვილი, ლადო კახაძე, ვაჟა ორგელაძე, რეზო ამაშუკელი, მაია მანია, ნოდარ ცერცვაძე, დიმიტრი ერისთავი, კახი კავსაძე, გოგი შხვაცაბაია, როგერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, ანზორ ერქომაიშვილი, მაცაცო სეგისკვერაძე, ნუნუ გაგუნია, გურამ სალარაძე, ვახტანგ ტატიშვილი, მარიკა კვალიაშვილი.

P. S. ხელმომწერთა თანმიმდევრობა შეესაბამება ხელმოწერის რიგს.

საორგანიზაციო ჯგუფი ბოდიშს უხდის თბილისის იმ საპატიო მოქალაქეებს, რომლებსაც ტექნიკური მიზეზების გამო ხმა ვერ მივაწვდინეთ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი დროის ერთ-ერთი ფრიად ღვაწლმოსილი, ჭეშმარიტად სახალხო პედაგოგი, თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალი ახალგაზრდის აღმზრდელი, სამაგალითო მანდილოსანი, პროფესორი

ჯილდა (ჩიტო) გურგენიძე

და სამძიმარს უცხადებს როგორც განსვენებულის ოჯახს, ისე მთელ ჩვენს მადლიერ საზოგადოებას.

აგრესიულად მორჩილი ③ უმრავლესობის სისტემა ინგრევა?

„რაკურსის“ დანახული რაკურსები

MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

⑦

სახელმწიფო დროშის დღე

საქართველოს **სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით, თბილისის საკრებულოს ისტორიული აივნებიდან დროშები გადმოიფინა. ღონისძიებას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი და საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.**

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ განაცხადა, სახელმწიფო დროშის დღე 2012 წლიდან, ყოველ 14 იანვარს აღინიშნება. გიორგი ტყემალაძის თქმით, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ინიციატივას თბილისის საკრებულოც შეუერთდა და ისტორიულ შენობაზე დროშები გადმოიფინა.

„თბილისის საკრებულო ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ინიციატივას სიამოვნებით შეუერთდა. მინდა მივულოცო თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, სრულიად საქართველოს დღევანდელი დღე და დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული აქცია მომავალში კიდევ უფრო მასშტაბური იქნება“ — განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თინათინ ნიბლოშვილის თქმით სახელმწიფო დროშის დღე ეროვნული დღესასწაულია და ეროვნული დროშა ღირსების სიმბოლოა.

ამ დროშის ქვეშ დგას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისი თავისუფლება და ყველაფერი ის, რაც ჩვენთვის არის ღირებული

სახელმწიფო **დროშის დღის აღსანიშნავად, ათონელის ქუჩაზე მდებარე საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, დროშის აღმართვის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. სახელმწიფო დროშის ეტალონი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში ინახებოდა, ათონელის ქუჩაზე მდებარე პრეზიდენტის სასახლის ეზოში გუშინ პირველად აღიმართა.**

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საზეიმო ღონისძიებაზე სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა და სახელმწიფო დროშის მნიშვნელობაზე ესაუბრა: **„სახელმწიფო დროშა ძალიან მნიშვნელოვანი ეროვნული სიმბოლოა და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მის მნიშვნელობაზე თქვენთან, ახალგაზრდებთან მიწევს საუბარი, რადგან ეს დროშა მომავლის დროშაა. ეს არის ჩვენი ისტორიული დროშა, რომელიც ყოველთვის ასახავს სახელმწიფოს. ქვეყნის და ერის მთელი ისტორიის ამსახველია. ვიცით, რომ ქართველები არაერთი დროშის ქვეშ იბრძოდნენ და იცავდნენ თავიანთ სახელმწიფოს.**

მე, პირადად, უცხოეთში სამფეროვანი დროშის ქვეშ გავიზარდე, როცა მას სახელმწიფო დროშის დატვირთვა არ ჰქონდა და ვოცნებობდით, რომ საქართველოს ხელახლა ექნებოდა სახელმწიფო დროშა. დღეს ეს დროშა ჩვენი სახელმწიფო დროშაა და მას პატივი უნდა ვცეთ! დროშის პატივისცემა ჩვენი ქვეყნის, მისი კულტურის, მისი იდენტობის პატივისცემაა!

სადაც უნდა იყოთ, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ამ დროშის ქვეშ თქვენ საქართველოს ელჩები ხართ და უნდა მოიქცეთ ისე, როგორც შეეფერება ამ დროშას, როგორც შეეფერება ამ ქვეყანას. ამ დროშას იცავენ ჩვენი ჯარისკაცები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ სამშვიდობო მისიებში. ამ დროშას იცავენ ჩვენი მეზღვრეები. ამ დროშას იცავენ ჩვენი თანამოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ საოკუპაციო ხაზზე და ჩვენ ვიცით, რა პირობებში იცავენ მას. ამ დროშას პატივს სცემენ ჩვენი სპორტსმენები, როცა ის მსოფლიო ტურნირებზე აღიმართება.

ამ დროშის ქვეშ გაგვაქვს ჩვენი ქართული კულტურა — ნამდვილი საგანძური, რომელსაც უნდა ვუფრთხილდებოდეთ არანაკლებად, ვიდრე ჩვენს დროშას. ამ დროშის ქვეშ დგას ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისი თავისუფლება და ყველაფერი ის, რაც ჩვენთვის ღირებული და თითოეული მოქალაქის დასაცავია, ამიტომ ჩვენ პატივი უნდა ვცეთ და დავიცვათ იგი“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

ბესელიამ ბოლო ტყვია მძიმე შემთხვევისთვის შეინახა...

ეკა ბესელიას მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებებს დავით ჭიჭინაძე ეხმაურება და აცხადებს, რომ პირდაპირ იქნა აღიარებული, რომ სია ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნოდა:

„ქალბატონმა ეკამ თავისი განცხადებით დაადასტურა, რომ იყო მათ შორის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ის გადადგა და ივანიშვილმა გაიწვია ის სია და პირდაპირ იქნა აღიარებული, რომ სია ეკუთვნოდა ივანიშვილს. არის საკითხები, რაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რასაც ისინი საუბრობენ. ბოლო ტყვია არ უნდა გამოიყენოს საერთოდ ადამიანმა და შეინახა, ალბათ, ქალბატონმა ეკამ ბოლო ტყვია იმ მძიმე შემთხვევისთვის თუ სიტუაცია ასე განვითარდება და იქნება ძალადობრივი მცდელობა ამ მოსამართლეების გატანის,“ — აცხადებს დავით ჭიჭინაძე.

იურიდიული კომიტეტი არ უნდა გახდეს იმ ჯგუფის ფილიალი, რომელსაც საკუთარი ინტერესები აქვს

იურიდიული **კომიტეტი არ უნდა გახდეს მომავალშიც პირობითად რომ ვთქვათ, მეთოფიშვილის მსგავსი, ფილიალი იმ ჯგუფის, რომელსაც საკუთარი ინტერესები აქვს და არ მგონია, ეს ინტერესები იყოს სახელმწიფოს სასარგებლო,** — ამის შესახებ იურიდიული კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„იყო რამდენიმე საკითხი, რომელზეც მე მქონდა კრიტიკული პოზიცია და მათ შორის იყო ორი საკითხი, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც ვიყავი. ეს საკითხები გულისხმობდა იმას, რომ გარკვეული ჯგუფისთვის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე არ იყო სანდო და მე მგონია, რომ ვიცეспიკერობის შემოთავაზებით მოფიქრებული იყო სქემა, რომ იურიდიული კომიტეტი გათავისუფლებულიყო იმ თავმჯდომარისგან, რომელიც ხელს შეუშლიდა გარკვეული ჯგუფის ინტერესების გატარებას. მე ასე აღვიქვი მაშინ ეს შემოთავაზება. მინდა ვთქვა, რომ იურიდიული კომიტეტი არ უნდა გახდეს მომავალშიც პირობითად რომ ვთქვათ, მეთოფიშვილის მსგავსი, ფილიალი იმ ჯგუფის, რომელსაც საკუთარი ინტერესები აქვს და არ მგონია ეს ინტერესები იყოს სახელმწიფოს სასარგებლო, ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს პროცესი არის პრინციპული. ამ საკითხზე მე ყოველთვის განსხვავებული და პრინციპული პოზიცია მქონდა“, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვლთან ურთიერთობას, ბესელია აღნიშნავს, რომ **„ჩემს პირად ემოციებზე მაღლა ყოველთვის იდგა და დგას სახელმწიფოებრივი ინტერესი. ბიძინა ივანიშვილი არ არის ჩემთვის უცხო ადამიანი და ვერ იქნება ვერასოდეს უცხო. მასთან ერთად 7 წელია, ფეხდაფეს მოვდივარ და მოვდივარ 10 ოქტომბრიდან. ყველაფერი გამოვიარეთ ერთად და, რა თქმა უნდა, მას ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის საკითხები, რომელიც ჩემთვის ფუნდამენტურია, პრინციპულია, ჩემს მორალურ ფასეულობებს ეხება, აქ ვერავის წყენას ვერ მოვერიდები. მიმაჩნია, რომ ჩემი მოვალეობა არის, ვემსახურო ამ ქვეყანას. მე არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩემი მოწინააღმდეგეა. მგონია, რომ ეს არის დროებითი მოცემულობა და ამ ერთი განცხადებით პროცესს ნუ შევაფასებთ“.** ჟურნალისტის კითხვაზე, მიაჩნია თუ არა, რომ პარტია ბიძინა ივანიშვილმა მას „ყვითელი ბარათი“ უჩვენა, ბესელია პასუხობს, რომ მხოლოდ მას შეუძლია, საკუთარ თავს ყვითელიც და წითელი ბარათიც უჩვენოს.

იურიდიულმა კომიტეტმა დავით მათიკაშვილი თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია

საქართველოს **პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, კომიტეტის წევრებმა, 11 ხმით, დავით მათიკაშვილს კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დააკისრეს. სხდომას არ დასწრებია იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ეკა ბესელია.**

შეგახსენებთ, რომ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ეკა ბესელია თანამდებობიდან 2018 წლის 27 დეკემბერს გადადგა. როგორც თავად აღნიშნა, მისი გადადგომა უკავშირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების სიას.

მოგვიანებით, 2018 წლის ბოლო დღეს, იურიდიული კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე გედევან ფოფხაძე აირჩიეს. სწორედ გედევან ფოფხაძეს უნდა შეესრულებინა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობა, თუმცა ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ ფოფხაძე თანამდებობიდან გაიწვია.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ბიძინა გეგიძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დავით მათიკაშვილის არჩევის წინააღმდეგ მისცა ხმა. გეგიძის განცხადებით, მისი გადაწყვეტილება განვითარებული პროცესების შესაბამისად ლოგიკური იყო.

„როგორც მიმდინარეობდა პროცესი და რა პოზიციაც მქონდა ამ პროცესის მიმართ, დღეს იყო ლოგიკური. ჩემი დღევანდელი კენჭისყრაში მონაწილეობის გადაწყვეტილება იყო ლოგიკური“, — განაცხადა გეგიძემ.

გუნდში არსებული უთანხმოება ცალკე განხილვას საჭიროებს

კონსენსუსი **თუ ადვილად მიიღწევა (მოსამართლეთა შერჩევის) კრიტერიუმების თემაზე, შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ სხვა საკითხებზე შეთანხმების რესურსი არსებობს,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განუცხადა.

„შემთხვევით არ გვითქვამს, რომ ის არის ცალკე, დამოუკიდებელი თემა, რაც ძალიან სამწუხაროა, რომ ამ საკითხს დაუკავშირდა. ვფიქრობ, ისევ სასამართლოს დამოუკიდებლობის ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, არ არის ნამდვილად ეს ის თემა, რომელზეც ვინმემ, რომელიმე პოლიტიკოსმა უნდა ილაპარაკოს და პოლიტიკური ქულები დაიწეროს. ყველაფერი ნათელია. კონსენსუსი თუ ადვილად მიიღწევა კრიტერიუმების თემაზე, შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ სხვა საკითხებზე შეთანხმების რესურსი არსებობს, თუმცა სხვა საკითხებზე შეთანხმების რესურსზე, გუნდში არსებულ უთანხმოებაზე ცალკე უნდა ვისაუბროთ და სასამართლოს თემა ამით არ უნდა დავაზიანოთ“, — განაცხადა მდინარაძემ.



აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის სისტემა ინგრევა?

„Агрессивно-послушное болшьинство“ (აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა) — ეს ფრაზა სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე იური აფანასიევმა 1989 წლის 27 მაისს თქვა.

ასევე „Сталинско-Брежневский верховный совет“-იც ახსენა. სამწუხაროდ, თუ ახალ, 2019 წლის პირველ ორ კვირას გადავხედავთ, 30 წლის წინათ ნათქვამი ფრაზები ზუსტად ასახავს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას.

რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, მიუხედავად „დაძაბული“ დღეებისა, საზოგადოებაში აქტიური განხილვის თემა გახდა.

პირველი და უმთავრესი არის ცილისწამების შესახებ კანონის გამკაცრება, რასაც საზოგადოება ბოლო წლების განმავლობაში დაჟინებით ითხოვდა, მაგრამ სანამ მმართველმა გუნდმა საპრეზიდენტო არჩევნების დროს საკუთარ თავზე არ იწვნია, ყურიც არავის შეუბერტყავს.

დღეს კი, როდესაც პატრიარქმა, პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ხმამაღლა განაცხადეს ამ მეტად აუცილებელ კანონში ცვლილებების შესახებ, ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. სამაგიეროდ, მაშინვე აფთრებივით გამოვარდნენ ე.წ. „სამოქალაქო სექტორისა“ და „რუსთავი-2“-ის წარმომადგენლები და ჩვეული მუქარის სტილში დაიწყეს ხელისუფლებისა და ხალხის დაშანტაჟება.

„სამოქალაქო სექტორმა“ მმართველი გუნდი წერილობით გააფრთხილა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების პროცესს „დააკვირდება“!

ეს ინფორმაცია ცხადია „კურიერის“ ეთერში წამყვანის აგრესიული ტონის თანხლებით გაისმა.

მინდა, მივმართო ხელისუფლებას, რომელიც ამ მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის ემაზადება:

აბა შენ იცი, ხელისუფლებავ, უხსენებლისგან მონუსხული ბაყაყივით მიაჩერდი სალაძეს, კაპიტან გიგაურს, ვერძეულს და მსგავს არსებებს, ბოლომდე დაემგვანე კაას (ამ შემთხვევაში პითონის) წინ მჯდარ ბანდარ-ლოგებს (ამ შემთხვევაში მაიმუნებს).

ამ კლოუნების გარეშე არ გადადგა არც ერთი ნაბიჯი. ტუალეტში რომ მოგინდება გასვლა, ჯერ ამ „გავლენიან ორგანიზაციებთან“ გაიარე კონსულტაციები.

უფრო მეტად მოუშალე ნერვები ხალხს, უფრო მეტად გააღიზიანე ნამდვილი საზოგადოება მთვრალი მონღოლის წინ მოცახცახე ხვარაზმელის მონური მზერით.

მიდით, მაგრამ რას გელაპარაკებით — თქვენ არც კიპლინგი გაქვთ წაკითხული და არც ვასილი იანი. თქვენ ხომ NDI-ს დასკვნებზე ხართ გაზრდილნი და პრობლემების რეალური გადაჭრის გზების მოსაძებნად, თავში ადგილი აღარ დაგრჩათ.

აბა შენ იცი, ძვირფასო ხელისუფლებავ, დაიკიდე რა სურს ქართველ ხალხს. დაიკიდე და პირუთვნელად შეასრულე ამ გამორობოტებული არსებების ბრძანებები. არაფერი შეგეშალოს, თორემ იქ, უცხოეთში, გაგზავნილ დასკვნებში ცუდად მოგიხსენიებენ.

რ2-ის დირექტორმა ნიკა გვარამიამ წაიტრაბახა — ეს კანონი ჩემ წინააღმდეგ არის მიმართულიო.

ცოტა ზედმეტი მოუვიდა ბატონ ნიკას. ეს კანონი მიმართულია არა კონკრეტულად გვარამიას, ან „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ, არამედ იმ ამაზრზენ სისტემას მოუღებს ბოლოს, რაც სააკაშვილმა, ბოკერიამ და მათმა იდეურმა შვილებმა საქართველოს თავს მოახვიეს.

რაც შეეხება „რუსთავი-2-ს“, პირდაპირ ვიტყვი, რომ მას პოლიტიკურ-ლიტერატურული, „პოლიტიკურ-იუმორისტული, პოლიტიკურ-მუსიკალური, პოლიტიკურ-გასართობი, პოლიტიკურ-სპორტული... გადაცემები არა და არ გამოდის „პოლიტიკურის“ პონტში და გოიმობის პარადი რჩება.

მეორე და ასევე უმთავრესი საკითხი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის საკითხია.

ამ მეტად სენსიტიურმა საკითხმა მმართველ გუნდში დიდი რყევები გამოიწვია. გამოჩნდნენ ე.წ. „ამბოხებულები“, მათი მოწინააღმდეგეები და ის დეპუტატები, რომლებმაც მაშინვე სირაქლემას პოზა მიიღეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილმა მეტად საჭირო განცხადება გააკეთა. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული კომენტარების შემდეგ შეიქმნა ისეთი წარმოდგენა, თითქოს ივანიშვილი კონკრეტულად ეკა ბესელიას დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, საზოგადოების უმრავლესობამ არ მოუსმინა, დაკვირვებით არ წაიკითხა ეს განცხადება და მხოლოდ ზედაპირული დასკვნები გააკეთა.

მინდა, მივმართო იმ ხალხს, რომლებიც ივანიშვილის განცხადებით სიხარულით აღტყინებული არიან, რომელთათვისაც მურუსიძე-ჩინჩალაძე დ.ა.შ. მაშინვე „პროფესიონალები“ გახდნენ, ან შავი ღრუბლები დაინახეს და გაჰკივიან, ბესელია კაბინეტიდან გაძევესო (არ ჰქონდა ჯერ ახალი კაბინეტი და საიდან „გააძევეს“?), ან სხედან ამღვრეულ წყალთან და ელოდებიან, როდის ჩაუვარდებათ თევზი კალთაში. გთხოვთ, კარგად წაიკითხოთ ივანიშვილის განცხადება, კარგად და არა „დიაგონალზე“

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში დღეს 28-დან მხოლოდ 10 მოსამართლეა წარმოდგენილი, რაც ხელს უშლის სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას. აქედან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სურვილს, სწრაფად წარმოედგინათ მოსამართლეობის კანდიდატები, ობიექტური საფუძველი ჰქონდა.

თუმცა, მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ მმართველმა გუნდმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მეტი დრო დაიტოვა მოსამართლეების არჩევის საკითხის განხილვისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია მმართველი გუნდის წარმომადგენლების უმრავლესობის პოზიციის შესაბამისად. **„ჩვენ პატივს ვცემთ განსხვავებულ მოსაზრებებს გუნდში და მიგვაჩნია, რომ გონივრული გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ თავისუფალი დისკუსიის საფუძველზეა შესაძლებელი“** — განაცხადა ივანიშვილმა.

სად ითქვა, რომ ჩინჩალაძე, გვრიტიშვილი დ.ა.შ. ჯიგრები არიან? რა უნდა ექნა მმართველ გუნდს? გამოსულიყო კეტებით და ჩაექოლა იუსტიციის საბჭო (პრინციპში ურიგო არ იქნებოდა)?

2. „აღნიშნული გადაწყვეტილება უკავშირდებოდა იმ სირთულეებს, რომლებმაც მმართველ გუნდში 2017 წელს იჩინა თავი და რომლებიც პოლიტიკაში ჩემი დაბრუნების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დავასახელე - ეს იყო გუნდურობის დეფიციტი“ (ივანიშვილი).

გეყურებაასთ — გუნდურობის დეფიციტი!!! და არ მითხრათ, რომ გუნდურობის სერიოზული დეფიციტი არ არის და ყველაფერი „გლადკათაა“. გაიხსენეთ გედევან ფოფხაძის „ხან ისე და ხან ასეო“ „პოზიცია“ და რამდენჯერ იყო ეს ადამიანი ამ მდგომარეობაში? ვერ ჩამოყალიბდა თავის თავში: ხან დაუპირისპირდებოდა გუნდს, მერე უცებ გადათქვამდა და ეს, რაც მე მახსოვს, სულ ცოტა სამჯერ მოხდა).

3. „ამ ფონზე, გაუგებარი იყო ეკა ბესელიას განცხადება, როდესაც მან 27 დეკემბერს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის დატოვება მოსამართლეების არჩევის საკითხს დაუკავშირა. მსურს, საზოგადოებას დავუდასტურო, რომ გადაწყვეტილება ეკა ბესელიას აღნიშნული თანამდებობიდან გადადგომისა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე გადანაცვლების თაობაზე ჯერ კიდევ ზაფხულში იქნა მიღებული“ (ივანიშვილი).

4. „შეგახსენებთ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საკითხის განხილვა ჯერ არც კი განახლებულა. ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული პოზიციები მოსამართლეების არჩევის პროცედურასთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებითაც კი. ამ საკითხების განხილვას დაეთმობა ერთი თვე, რომელიც პარლამენტის საგაზაფხულო სესიამდეა დარჩენილი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ამაზე ხანგრძლივი დროც. გადაწყვეტილებები მიიღება ფართო მსჯელობის საფუძველზე, რომელშიც სხვადასხვა დაინტერესებული მხარე იქნება ჩართული.

აქედან გამომდინარე, მოვუწოდებ იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ საკუთარი თავი ამ საკითხით დაინტერესებულ ერთადერთ მხარედ წარმოაჩინონ, დაელოდონ საკითხის განხილვას და თავი შეიკავონ იმგვარი განცხადებებისგან, რომლებიც აზიანებს როგორც გუნდის, ისე მოსამართლეთა არჩევის პროცესის ჯანსაღ გარემოში წარმართვის ინტერესებს“ (ივანიშვილი).

ალბათ, ჩემი კომენტარი საჭირო აღარ არის.

დაბოლოს: კიდევ ერთხელ ვამბობ — არ არის საჭირო ეს „ხბოს აღტაცება“ არც „ოცნების“ დაშლაზე, არც „შიდა აჯანყებაზე“ და არც რაღაც მსგავს სისულელეებზე.

ძალიან საინტერესო და მკვეთრი იყო პარლამენტის ვიცე-სპიკერის თამარ ჩუგოშვილის განცხადებაც.

„მე არ ვიცი, საბჭოს რა ჰგონია, რა გაიგო იმ პროცესებიდან, რაც პარლამენტში მიდის, მგონი, ვერაფერი, მაგრამ დარწმუნებული ვარ შემდეგში, მათი წარმოდგენილი 10-კაციანი სია არ გავა! მოსამართლეების კანდიდატების შერჩევის პროცედურას შექმნის პარლამენტი, მხოლოდ ამის შემდეგ წარმოდგენილ 18 კანდიდატურაზე ვიმსჯელებთ“, — წერს თამარ ჩუგოშვილი.

რაც შეეხება ე.წ. „სისტემის მსხვერპლთ“ — ყველასთვის ცხადია, რომ თუ სისტემამ სხვადასხვა სფეროში ბევრი „მსხვერპლი“ წარმოშვა — სისტემა უნდა შეიცვალოს.

ის „ხალხი“, ვინც თავის თავს სისტემის „მსხვერპლს“ უწოდებს, უპრინციპობის, მონური მორჩილებისა და „მსხვერპლად“ გახდომაზე თანხმობის მიცემის გამო, საერთოდ უნდა მოშორდნენ ისეთ სენსიტიურ საქმიანობას, რასაც ყველაზე უზენაესი — სამართლის სახელით ქმედება ჰქვია!

მოსამართლეობა, პარლამენტარობა, ძალოვანი სტრუქტურები არ არის თონე, სადაც მეპურე შეიძლება იყოს იმ სისტემის მსხვერპლი, რომელმაც კარგი ხარისხის ფქვილი ვერ მიაწოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ხაბაზსაც არა აქვს სრული გამართლება.

ჩვენ ჩავიციკლეთ იმ 10 ცალ „მოსამართლეზე“, ცილისმწამებელ ტელევიზიაზე. ვღელავთ, ვაკრიტიკებთ, ზოგიერთებმა შაჰიდის ქამარიც შეიბეს.

არა, რა! ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი უბედურებები — იუსტიციის უმაღლესი („უმაღლესი“ ჰმ!) საბჭო და საერთოდ სასამართლო სისტემა, სსკ-ს უამრავი მუხლი, მაგ: ცილისწამებაზე კანონის არარსებობა მივიწყეთ.

გვარამია, მურუსიძე, ჩინჩალაძე, გაფრინდაშვილი, გვრიტიშვილი, ეს ვიღაც მეთოფიშვილი (საიდან გამოეკვეხა?) დ.ა.შ. ვინ ჩემი რომანაგოცირიძეები არიან?

სისტემა, ეს უსაზიზღრესი სისტემა უნდა დაინგრეს!

მიჩას და ბოკერიას (სხვათა შორის, ეს თემა კარგად იციან) მოფიძრებული სისტემა უნდა დაინგრეს, თორემ ხომ ხედავთ, ამ კრიტერიუმებით მურუსიძე აზდაკზე უკეთესი მოსამართლე და ცქიტიშვილი სოლონზე მაგარი კანონმდებელი და „რუსთავი-2“ მთავარი არხი ყოფილა.

ერთად მოვითხოვოთ „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ ინიცირებული რეზოლუციის მიღება. მოვსპოთ ეს მარაზმი (საერთოდ, არსებული მარაზმი), რომელსაც აგრესიულად მორჩილი უმრავლესობის პოლიტიკური ვნებები უდევს საფუძვლად, გავთავისუფლდეთ ბრეჟნევის დროის წებოვანი ძსელისგან და, დედას გეფიცებით, საქართველო კარგი, ძალიან კარგი სახელმწიფო იქნება!

გია გაბრიჭიძე

რუსეთული საწვავით სავსე ავზები

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, 2018 წელს საქართველოში საწვავის ყველაზე დიდი მომწოდებელი რუსეთი იყო. ბოლო წლების განმავლობაში საწვავის ყველაზე მსხვილი მომწოდებელი რუმინეთი იყო, რომელმაც მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

2018 წელს საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 1098,9 ათასი ტონა, რაც 3,1 ათასი ტონით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს (1095,8 ათასი ტონა). მათ შორის, 2018 წლის განმავლობაში ბენზინის საწვავის იმპორტმა შეადგინა 542,0 ათასი ტონა, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტმა – 556,9 ათასი ტონა.

გასულ წელს ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი ოდენობა განხორციელდა რუსეთიდან – 292,2 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 26,6%-ს შეადგენს. მიმდინარე წელსაც რუსეთი არის საწვავის სტაბილურად ყველაზე მსხვილი მომწოდებელი ქვეყანაში, რომელმაც ჩაანაცვლა რუმინეთი, რომელიც, თავის მხრივ, ბოლო წლების განმავლობაში საწვავის ყველაზე მსხვილი მომწოდებელი იყო.

2018 წელს ბენზინის იმპორტის ყველაზე დიდი ოდენობა განხორციელდა რუსეთიდან – 217,4 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 40,1%-ს შეადგენს, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტის ყველაზე დიდი ოდენობა განხორციელდა აზერბაიჯანიდან – 174,5 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 31,3%-ს შეადგენს.

გასულ წელს ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტი უმნიშვნელოდ, თუმცა მაინც გაიზარდა 2017 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეალურად საწვავის მოხმარება არ გაზრდილა, ის მცირედით შემცირდა კიდეც, ვინაიდან 2016 წლის დეკემბერში განხორციელდა საშუალოდ 70 ათასი ტონით მეტი პროდუქტის იმპორტი წინა წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, რომელიც მოხმარებაში გავიდა უკვე 2017 წლის პირველ თვეებში. აღნიშნული დაკავშირებული იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებასთან, რომელიც ეხებოდა საწვავზე აქციზის გადასახადის ზრდას, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ზოგადად, საწვავის იმპორტი და მოხმარება კვლავინდებურად მაღალ მაჩვენებელზეა, რასაც ხელს უწყობს სატრანსპორტო პარკის ყოველწლიური ზრდა.

კომერსანტი

ეწ. საზღვარ-ჩაკეტილ აფხაზეთში გრიპის ვირუსი მძვინვარეებს

გრიპის ვირუსი ოკუპირებულ აფხაზეთშიც გავრცელდა. გალის საავადმყოფოს აღნიშნული ვირუსის სიმპტომებით უკვე 8 ადამიანმა მიმართა.

საავადმყოფოს ექიმები აცხადებენ, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში არ არსებობს ლაბორიატორია, სადაც შეძლებენ იმის დადგენას, საქმე აქვთ თუ არა H1N1 ვირუსთან.

ექიმები პაციენტებს გამოხატული სიმპტომების მიხედვით მკურნალობენ.

შეგახსენებთ, რომ საოკუპაციო რეჟიმმა გრიპის ვირუსის გავრცელების საშიშროების მიზეზით ეწ. საზღვრები ჩაკეტა. შეზღუდვები ორი თვის განმავლობაში იმუშავებს.

H1N1-ის მორიგი მსხვერპლი მცირეწლოვანია

H1N1-ის მსხვერპლთა რიცხვმა 16-ს მიაღწია. ცნობილი ხდება, რომ ეწ. ღორის გრიპით ბავშვი გარდაიცვალა. სპეციალისტები ამბობენ, რომ H1N1-ის ვირუსთან ერთად პატარას „წითელა“ აღენიშნებოდა, რამაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაართულა.

მოზარდი რეგიონიდან იყო, ის შაბათს გარდაიცვალა.

„როცა თქვენ მუშიდად გძინავთ, ჩვენ დაავადებებს ვაკონტროლებთ“

სოციალურ ქსელში ლელა ურუშაძე ლუგარის ლაბორატორიაზე წერს.

„მე ლუგარის ლაბორატორიაში ვმუშაობ, ადრე მას შავი ჭირის სადგური ერქვა, პოლიომიელიტის განყოფილებაში. ანი გრიპზე მუშაობს, თეკო ეშერიხიაზე, გვანცა ტულარემიაზე, ელენტა შავ ჭირზე, ქეთო ბრუცელაზე და ხმალიკა ჯილეხზე.

ჩვენ, ასეთი ჩვეულებრივი სახელებით ვმუშაობთ გრიპზე და ზემოთ ჩამოთვლილ ბევრად საშიშ ინფექციურ დაავადებებზე, უსაფრთხო გარემოში ვდგამთ ანალიზს და მათ ვარქმევთ სახელებს რომ ექიმებს გაუადვილდეთ თქვენთვის დიაგნოზის დასმა და დანიშნულების მოცემა, რომ თქვენ მშვიდად იმუშაოთ ფერმებში, წამოწვეთ მწვანე მინდორზე, იმოგზაუროთ ეგზოტიკურ ან არააეგზოტიკურ ქვეყნებში და არ დაგემართოთ კიდევ უფრო ხმაურიანი ყირიმ-კონგოს ციებ-ცხელება, ებოლა, ზიკას ვირუსი ან მალარია.

უფრო მეტიც, როცა თქვენ მშვიდად გძინავთ ან ისვენებთ, იგივე დაავადებებს ვაკონტროლებთ, ნახმარ წყლებში, ნიადაგში, მღრღნელებში, ტკიპებსა და კოღოებში, მე ჩემს შვილს ამაზე ვუყვები და ამაყი ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის ძალიან მნიშვნელოვან რგოლში – ლუგარის ლაბორატორიაში ვმუშაობ, რომელსაც ადრე შავი ჭირის სადგური ერქვა“, – წერს ლელა ურუშაძე.

ვიდეოკონტროლი საქართველოს გზებზე



შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკვე დაამონტაჟა და ეფექტურად მოქმედებს 1 441 ვიდეოკამერა, რომლებიც სამინისტროს ერთიან ქსელშია ჩართული. მათ შორის 795 არის ზოგადი ხედვის, 646 კი – ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერა.

როგორც უწყებაში აცხადებენ, სამინისტრო 2019 წელსაც განაგრძობს ქვეყნის ტერიტორიაზე სიჩქარის მზომი სექციური რადარების და ე.წ. „ჭკვიანი“ ვიდეოკამერების განთავსებას და ამოქმედებას. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ მთავრობის 510-ე დადგენილების ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ძალაში შესვლის შესაბამისად, ე.წ. „ჭკვიანი“ კამერების მეშვეობით 14 იანვრიდან ავტომატურ რეჟიმში მოხდება იმ ავტომობილების დაჯარიმება, რომლებსაც კანონის შესაბამისად არ გაუვლიათ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება.

ამ დროისთვის, ვიდეოკამერები თბილისის და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა გადანაწილებული.

შეგახსენებთ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელები შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომხმარებელთა სატელეფონო მონაცემების ბაზაში დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე მიიღებენ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას ვიდეოჯარიმის გამოწერის შესახებ. შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში ჯარიმის გადახდის შემთხვევაში, მოქალაქე სარგებლობს 20% -იანი შეღავათით. იმ შემთხვევაში, თუ პირი ვიდეოჯარიმას მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ გადაიხდის, საჯარიმო ქვითარი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მას ფოსტის მეშვეობით ეგზავნება, ხოლო ვიდეოჯარიმის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, 30-დან 60 დღის ვადაში, პირს ვიდეოჯარიმა განმეორებით ეგზავნება.

საჯარიმო ქვითრის ფოსტის მეშვეობით ორჯერ ჩაუბარებლობის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებას ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.police.ge აღნიშნული წესი ამოქმედდა 2017 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შესული რეგულაციით, რომლის თანახმად, ვიდეოჯარიმის ქვითარი სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – police.ge-ზე საჯაროდ ქვეყნდება.

ავტოინდუსტრია ელექტრომობილების განვითარებაში 300 მილიარდ დოლარს ჩადებს

მსოფლიოს წამყვანი ავტომწარმოებლები მომავალი 5-10 წლის მანძილზე ელექტრომობილების ტექნოლოგიების განვითარებაში 300 მილიარდ დოლარს ჩადებენ.

სააგენტო Reuters-ის ექსკლუზიური ანალიზის მიხედვით, დაგეგმილი 300 მილიარდი დოლარი უპრეცედენტოდ დიდი მოცულობის ინვესტიციაა, რაც კი ოდესმე ელექტრომობილების ინდუსტრიაში განხორციელებულა.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ავტოინდუსტრიის ეს ნაბიჯი ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის შემცირებაზე მიმართული სამთავრობო პოლიტიკის შედეგია და ელექტრომობილების ტექნოლოგიების დახვეწას ისახავს მიზნად, რათა შემცირდეს ელემენტების ფასი და დამუხტვის დრო.

მას შემდეგ, რაც ჩინეთმა და სხვა ქვეყნებმა ბენზინსა და დიზელზე მომუშავე ავტომობილებზე შეზღუდვები გააფაართოვეს, ავტოინდუსტრიამ უფრო მეტი ძალისხმევა მიმართა ამ მიმართულებით. თუკი ერთი წლის წინათ ინდუსტრია ელექტრომობილებში მხოლოდ 90 მილიარდი დოლარის ინვესტირებას გეგმავდა, ეს თანხა უკვე 300 მილიარდია – რაც აღემატება მაგალითად, ეგვიპტის ან ჩილეს ეკონომიკას.

ინვესტიციის შედეგად, მოხდება ელექტრომობილების მასობრივ პროდუქციაში ჩაშვება ჩინეთში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში.

აღნიშნული ინვესტიციის დიდ ნაწილს 91 მილიარდ დოლარს გერმანული ავტოგიგანტი Wolkswagen-ი გაიღებს, 42 მილიარდს კი, მისი მთავარი გერმანელი კონკურენტი Daimler-ი.

2025 წლისთვის მხოლოდ Volkswagen-ი 15 მილიონი ელექტრომობილის გამოშვებას გეგმავს, აქედან 50 მოდელი წმინდა ელექტრომობილი იქნება, ხოლო 30 მოდელი ჰიბრიდი. საბოლოოდ კი, კომპანია მისი 300-ივე მოდელის ელექტრომობილების გამოშვებას აპირებს Audi-სა და Porsche-ს ჩათვლით. აშშ-ის წამყვანი ავტოგიგანტი General Motors-ი 8 მილიარდ დოლარს ჩადებს ელექტრომობილებსა და ავტო-პილოტური ავტომობილების განვითარებაში.

300 მილიარდის დიდი ნაწილი, 135 მილიარდი დოლარი ჩინეთში ჩაიდება. ჩინეთი, რომელიც ერთ დროს ცდილობდა გერმანულ, იაპონურ და ამერიკულ ავტომწარმოებლებს დასწეოდა, მოცემულ მომენტში ელექტრომობილების მწარმოებელი ინდუსტრიის ლიდერად ყალიბდება და გიგანტი ავტომწარმოებლები ამ ბაზარზე ფეხის მოკიდებას ცდილობენ.

ევროპული ავტოინდუსტრიის ლიდერები აღიარებენ, რომ ისინი დღეს ჩინეთში ელექტრომობილების განვითარების ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ხედავენ, რისი ნახევარიც არ არის ევროპაში ან სხვა ადგილას.

1TV.GE

უშველავათო ბრძოლა ფყუილებსა და ცილისწამებას!

„ძართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე ცილისწამებასთან დაკავშირებით კანონში შესაძლო ცვლილებების შეტანის ინიციატივას მიესალმება.

კალაძემ ევროპული ქვეყნების მაგალითი მოიყვანა, რომლებმაც, მისი თქმით, ამ პრობლემაზე მუშაობა დაიწყეს. **მე მივესალმები ამას. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორის ჩართულობაც. განვითარებულ ქვეყნებში სერიოზული ბრძოლაა გამოცხადებული აფლუ ნიუსებზე, ცილისწამებაზე. მაგალითად, საფრანგეთმა უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადადგა. გერმანიაც, თუ არ ვცდები, მუშაობს ამ მიმართულებით და ჩვენც, რა თქმა უნდა, ერთობლივი ძალისხმევით უნდა შევძლოთ, ამ პრობლემას გავუმკლავდეთ,** — განაცხადა კახა კალაძემ.

ცილისწამების კანონის გამკაცრებაზე უკვე მეორედ ალაპარაკდა 11 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტიც. სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ აუცილებელია საქართველოში ცილისწამების შესახებ კანონის მიღება.

„მედიას აქვს თავისი წესები და აქ უფრო დაცულია ადამიანი. როცა ჩვენ საქმე გვაქვს სოციალურ ქსელთან, რომელიც ზოგჯერ არის ანონიმური, ზოგჯერ არის სხვა ქვეყნის მიერ მართული და ძალიან ბევრი პროცესი მიმდინარეობს, ვფიქრობ, საჭიროა, რომ ამ კუთხით ვიფიქროთ.არ ვიცი, კერძოდ, თუ რა კანონი უნდა მივიღოთ, არც სხვა ქვეყნის გამოცდილების გადმოღების მომხრე ვარ. საფრანგეთი იმიტომ ვახსენე, რომ იქ ახლახან მიიღეს ამ ტიპის კანონმდებლობა“, — თქვა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა. მან ცილისწამების შესახებ კანონმდებლობის გამკაცრებაზე თავის საახალწლო მიმართვაშიც ისაუბრა. ეს საკითხი ახსენა პატრიარქმა ილია მეორემ 2019 წლის საშობაო ეპისტოლეშიც, ხოლო პარლამენტის თავმდომარემ ირაკლი კობახიძემ პატრიარქს მადლობა გადაუხადა ამ საკითხის ეპისტოლეში ხსენებისთვის.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობით ნებისმიერ პირს შეუძლია, სამოქალაქო წესით იჩივლოს ცილისწამებისთვის და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუმცა მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში თავად მომჩივანზეა.

მაინც რას გულისხმობს პრეზიდენტის მიერ ნახსენები საფრანგეთის კანონი ყალბი ინფორმაციის წინააღმდეგ? „მედიაჩეკერის“ მიერ მომზადებულ მასალაში ვკითხულობთ, რომ საფრანგეთმა მართლაც მიიღო ახალი კანონი ოღონდ არა ცილისწამების, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში ყალბი ინფორმაციის გავრცელების საწინააღმდეგოდ, რომელმაც დიდი დებატები გამოიწვია ქვეყნის შიგნითაც. ამ კანონის თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში მოსამართლეებს მიეცათ უფლება, რომ პლატფორმებს ყალბი ინფორმაციის მოხსნა დაავალონ. თუმცა იმისათვის, რომ ინფორმაცია ყალბად იქნეს მიჩნეული და სასამართლოში განხილვის საგანი გახდეს, იგი სამ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: ცხადი უნდა იყოს ყალბი ამბავი; განზრახ ვრცელდებოდეს დიდი მასშტაბით; გამოიწვიოს მშვიდობის დარღვევა და გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლას მიზნად ისახავს კიდევ ერთი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის მაუწყებლობის მარეგულირებელს უფლება აქვს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს უცხო ქვეყნის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული მაუწყებლობა, რომელიც „ლახავს ქვეყნის ფუნდამენტურ ინტერესებს“. ამავე კანონით, ციფრულ პლატფორმებს დაეკისრათ მეტი გამჭვირვალობა. წინასაარჩევნო პერიოდში მასალების რეკლამირების შემთხვევაში მათ დაევალათ გასაჯაროვება რეკლამის დამკვეთის და გადახდილი თანხის. კანონდარღვევისთვის გათვალისწინებულია სანქცია ერთწლიანი პატიმრობა ან ჯარიმა 75 ათასი ევროს სახით. საფრანგეთის პრეზიდენტი, ემანუელ მაკრონი ამ ინიციატივის გამო მკვეთრად გააკრიტიკეს. ოპონენტები ცენზურასა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე მიუთითებდნენ, თუმცა კანონი საბოლოოდ 2018 წლის ნოემბერში მიიღეს.

ახალი ტერმინალი ამერიკული ინვესტიციებით

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია ბათუმის პორტში მულტიმოდალური ტერმინალის პროექტის პრეზენტაციას დაესწრო. ღონისძიება ბათუმში გაიმართა და მას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. ღონისძიების ფარგლებში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ამერიკული კომპანია Trammo გახდება „Wondernet Express Investment Group“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პროექტის ინვესტორი.

გიორგი ქობულიას თქმით, პროექტს ძალიან დიდი შედეგიანობა ექნება როგორც ბათუმის პორტისთვის და აჭარისთვის, ასევე საქართველოს რკინიგზისთვისაც, რომელიც ამ ტვირთებს გადაზიდავს: **„ეს არის ერთ-ერთი ინდუსტრიული პროექტი და, რა თქმა უნდა, აჭარის გარდა მთელი საქართველოს მასშტაბითაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. მიგვაჩნია, რომ ასეთი ტიპის პროექტები უფრო მეტ საფუძველს შექმნის და მაგალითს მისცემს სხვა კომპანიებს სხვა ქვეყნებიდან, რომ ანალოგიური ინვესტიციები განახორციელონ.**

მისასალმებელ სიტყვაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ დადებითად შეაფასა საქართველოში მსხვილი ამერიკული ინვესტიციის განხორციელება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ამერიკული კორპორაცია **Trammo**, რომელიც ბათუმის პორტში ახალი მულტიმოდალური ტერმინალის ინვესტორია, ბიზნესში უმაღლესი დონის ეკოლოგიურ სტანდარტებს იცავს. **„ბათუმის შემთხვევაში საქმე გვაქვს მაღალტექნოლოგიური ტერმინალის მშენებლობასთან, რომელიც იქნება დახურული ციკლით მომუშავე საწარმო. აღნიშნული პროექტი, პირიქით, ხელს შეუწყობს ბათუმის პორტის ეკოლოგიური სტანდარტების ამაღლებას“,** — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ.

ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია მინერალური სასუქების ტერმინალის მშენებლობა გრანულირებული კარბამიდის გადატვირთვის მიზნით. ტერმინალი რეგიონალური მნიშვნელობის იქნება და ხელს შეუწყობს, როგორც აჭარის, ისე მთლიანად საქართველოს ეკონომიკის ზრდას. პროექტი გულისხმობს ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან შავი ზღვის ნავსადგურებში, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ლოჯისტიკური დერეფნის შექმნას.

ბათუმის პორტში ახალი, მულტიმოდალური ტერმინალის მშენებლობის პროექტს განახორციელებს კომპანია Wondernet Express, რომელიც წარმატებით საქმიანობს ევროკავშირის, დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში, ასევე ჩინეთში, კორეასა და თურქეთში, სხვადასხვა სახის ტვირთების ლოჯისტიკისა და ტრანსპორტირების მომსახურების სფეროში.

კომპანია მულტიმოდალური ტერმინალის ასაშენებლად 20 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტირებას გეგმავს.

ბათუმის ცენტრში კიდევ ერთი მრავალფუნქციური კომპლექსი აშენდება

ბათუმის ცენტრში კიდევ ერთი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა 2022 წელს დასრულდება.

კომპლექსში, რომელსაც კომპანია „ბრიტიშ აპარტამენტი“ აშენებს, განთავსდება საცხოვრებელი და სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი აპარტამენტები, მოეწყობა მინიმუმ 200 ავტომანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომი, საზოგადოებრივი და კომერციული დანიშნულებით გამოყენების მიზნით სტილობატი (ე.წ. „პოდიუმი“).

აპარტამენტებს ექნება შიდა საშრობები და დამხმარე სათავსოები. კომპლექსი თანამედროვე სამშენებლო მასალებით აშენდება და შშმ პირებისთვის იქნება ადაპტირებული, ასევე განთავსდება საზოგადოებრივი, კომერციული და გასართობი ცენტრ(ებ)ი.

პროექტის განხორციელებაში ინვესტორი 20 მლნ ლარის ინვესტირებას მოახდენს.

„ბრიტიშ აპარტამენტს“ კომპლექსის მშენებლობა 2020 წლისთვის უნდა დაესრულებინა, თუმცა იმის გამო, რომ ინვესტორმა შენობის ნულოვანი ნიშნულის მშენებლობის დასრულება დროულად ვერ შეძლო (მშენებლობა ამ მასშტაბის შენობა-ნაგებობისთვის უნდა განხორციელდეს ხიმინჯოვან საძირკველზე), აჭარის მთავრობას ვადების კორექტირების თხოვნით და ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დაკისრებული საურავებისგან (94 302 ლარი) გათავისუფლების თხოვნით მიმართა.

სასტუმრო RAMADA 2020 წელს გაიხსნება

ბეშუმში მაღალი კლასის საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო Ramada-ს მშენებლობა შეჩერებულია. მიზეზი კურორტზე არსებული ზამთრის კლიმატური პირობებია, რომელიც ტრადიციულად მაისის ბოლომდე გრძელდება.

„ელიტ სქიი რესორტმა“ აჭარის მთავრობას უკვე მიმართა იმ ვალდებულებების შესრულებისთვის დაწესებული ვადის გადავადებისთვის. შესაბამისად, აჭარის მაღალმთიან კურორტზე მაღალი კლასის, 60-ნომრიანი, საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს მშენებლობა 2019 წლის 1 დეკემბრის ნაცვლად 2020 წლის 1 დეკემბერს დასრულდება.



როგორც ცნობილია, კომპანია „ელიტ სქიი რესორტს“ ბეშუმში მიწის ნაკვეთი 56 344 ლარად სასტუმროს მშენებლობის ვალდებულებით 2016 წელს გადაეცა.

60-ნომრიანი სასტუმროში მოწყობილი იქნება კვების ობიექტები, საკონფერენციო დარბაზი, სპორტულ-გასართობი ცენტრი, სასტუმრო აღჭურვილი იქნება ლიფტ(ებ)ითა და პანდუს(ებ)ით. ინვესტორის ვალდებულებაა ასევე შენობის გარეთ საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე სწრაფი კვების ობიექტისა და გასართობი ინფრასტრუქტურის განთავსება. სასტუმროს მშენებლობაში ინვესტორმა მინიმუმ 4 მლნ ლარი უნდა დააბანდოს. მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის ამოქმედებიდან ერთ თვეში კი მინიმუმ 15 მოქალაქე უნდა დაასაქმოს, რომელთა 90% საქართველოს მოქალაქეები იქნებიან. ნაკისრი ვალდებულებებით, ინვესტორს ასევე ევალება აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შერჩეულ მიწის ნაკვეთზე, მინიმუმ 40 კვ.მ ფართობზე საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობა.

საქართველოში ამინდი მკვეთრად გაუარესდება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, 16-17 იანვარს საქართველოში მოსალოდნელია ნალექი, 17 იანვარს დაბლობსა და ბარში შესაძლებელია თოვლჭყაპი, დროგამოშვებით ძლიერი ქარი, მთიან და მაღალმთიან ზონაში თოვა, ზოგან ძლიერი, ნისლი და ქარბუქი. ზღვაზე შესაძლებელია 4-5-ბალიანი შტორმი.

17 იანვარს მკვეთრად დაიკლებს ჰაერის ტემპერატურა. მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია მთიან ზონებში თოვლის ზვავების ფორმირება და მეწყრული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.

„ყველაფერი იციან და ყველაფერი გაუგებათ მხოლოდ სოფლებსა და თავლიოთებს“

ასე ამბობდა ანტონ ჩეხოვი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

თავიანთი დროის გმირები

ამ ტვინიკოსთაგან ყველა ისე სულელია, რომ ვერავის ვერ დაელაპარაკები.

* * *

მაგათ უნდათ, თავიანთი განათლებულობა გვიჩვენონ და ყოველთვის გაუგებარ რამეზე ლაპარაკობენ.

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც მუდამ მხოლოდ ჭკვიანურს და კარგ რასმე ლაპარაკობენ, მაგრამ გრძნობ, რომ პირგაცვეთილები არიან.

* * *

არიან ადამიანები, რომელთა გონებაზეც მსჯელობაც შესაძლებელია იმათი ხმისა და სიცილის მიხედვით.

* * *

არ შეიძლება ტალახისთვის იმის მოთხოვნა, ტალახი ნუ ხარო.

* * *

ისე ვერ უკავშირდებიან ერთმანეთს სიყვარული, მეგობრობა და პატივისცემა, როგორც საერთო სიძულვილი რისამე მიმართ.

* * *

კმაყოფილებას მხოლოდ ის გვგვრის, რაც არა გვჭირდება.

* * *

ადამიანი ის არის, რაც სწამს.

* * *

ისეთი არცვინ არის, ვისაც თავზე ქუდს ვერ მოვარგებდით.

* * *

უცნაურია, ადამიანებს თავისუფლებისა ეშინიათ.

* * *

პარგია ეს დედამიწა, ერთი მარტო ვერ ვკარგობთ – ჩვენ.

* * *

ეჰ, რა საძაგელი ახალგაზრდები წამოვიდნენ! ადამიანში ყოველივე მშვენიერი უნდა იყვეს სახეც, ტანსაცმელიც, სულიც, აზრებიც.

მასწავლებლებსა და აღზრდაზე

ნეტავი ერთი გაცოდინათ, რა აუცილებელია რუსული სოფლისთვის კარგი, გონიერი, განათლებული მასწავლებელი!

* * *

მასწავლებელი უნდა იყვეს მსახიობი, შემოქმედი, თავისი საქმის მხურვალე ტრფიალი, ჩვენი შავი მუშა კი, უხეიროდ განათლებული, სოფელში გავშვების სასწავლებლად იმავე ხალისით მიდის, რა ხალისითაც გადასახლებაში წავიდოდა. ის მშიერია, გაოგნებულია, შეშინებულია, ემანდ ლუკმა პურიც არ დავკარგოო. არადა, ის პირველი კაცი უნდა იყვეს სოფელში, რათა გლეხკაცს სუყოველ საკითხზე უპასუხოს, რათა გლეხკაცთ ამ მასწავლებელში აღიარონ ყურადღების ღირსი ძალა და პატივისცემა, რათა ვერავინ ვერ გაბედოს იმასთან ღრიალი... იმისი პიროვნული დამცირება, როგორც ამას სჩადიან ჩვენში ყველანი: ათასთავი, მდიდარი მედუქნე, ხუცესი, უბნის მოქაული, სკოლის მზრუნველი, მამასახლისი და ის მოხელე, რომელსაც სკოლის ინსპექტორის წოდება აქვს მინიჭებული, მაგრამ განათლების საკითხის უკეთესად დაყენებაზე კი არ ზრუნავს, პირიქით, მხოლოდ ოლქის ცირკულართა გულმოდგინედ მოგვარებას ცდილობს. აბუჩად აგდებაა, მაშ, რა არის იმ ადამიანის შრომის გროშებად შეფასება, ვინც მოწოდებულია ხალხის აღსაზრდელად!

* * *

უგირი ხალხის განათლების დიდი ხნით გადადება ნამდვილი სულმდაბლობაა!

* * *

რათა ინტელიგენტურ წრეში შენი თავი შენს კალაპოტში იგრძნო, რათა იმ წრეში უცხო არ აღმოჩნდე და თავი არ შეგაწუხებინოს, საჭიროა, გარკვეულწილად აღზრდილი იყვე.

* * *

აღზრდილი ადამიანები შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

ისინი პატივსა სცემენ ადამიანურ პიროვნებას, ამიტომ მუდამ შემწყნარებელნი, ლმობიერნი, ზრდილნი, დამთმობნი არიან... ისინი ერთ დავიდარაბას არა ტეხენ ჩაქუჩის გულისთვის ანდა დაკარგული საშლელის გამო, წამოსვლისას კი არ გულღრძოებენ: თქვენსა ცხოვრება შეუძლებელიაო! ისინი გვპატიობენ ხმაურსაც და სიცივესაც, ზედმეტად დამწვარ მწვადსაც, ცხარე საწებელსაც და თავიანთ ჭერქვეშ უცხო ხალხის ხურხურს...

ისინი პატივს მიაგებენ სხვის საკუთრებას, ამიტომაც არის, რომ არ აყოვნებენ ვალის გადახდას.

ისინი ალალ-მართალნი არიან და ისევე აშინებთ სიცრუე, როგორც ცეცხლი. წვრილმანებშიც კი არ იტყუებიან. სიცრუე შეურაცხმყოფელია მსმენელისთვის და აუხამსებს მსმენელს მოლაპარაკის თვალში.

ისინი არ იმანჭებიან, ქუჩაშიც ისევე უჭირავთ თავი, როგორც შინ. უმრწემეს ძმათ თვალებში ნაცარს არ აყრიან. ყბედობა არ უყვართ და გულს არავის არ უშლიან, როცა არცრას არცვინ არ ეკითხება. სხვათა ყურების პატივისცემის ნიშნად გაკრინტულნი არიან.

არცროდის თავს არ იმდაბლებენ, რათა მეორე ადამიანში თანაგრძნობა გამოიწვიონ. ისინი სხვათა სულის სიმებს არ აუღერებენ, რა არის, პასუხად ოხვრა მოესმათ და უძიძაონ. ისინი არ ამბობენ: „ჩემი არ ესმით!“ ანდა: „დავწვრილმანდი და დავხურდავდი!“, იმიტომ რომ ეს ყოველივე იაფ ეფექტს იწვევს, ბედითობაა, ძველია, ყალბია...

ისინი არ ფუსფუსებენ, იმათ სულაც არ იზიდავს ისეთი რიოში ბრილიანტი, როგორიც სახელიანი ხალხის ნაცნობობაა... ერთ გროშად გათლილ ჯოხს ასმანეთიან ჯოხად არ ასაღებენ და თავი არ მოაქვთ იმით, რომ ისინი იქ შეუშვეს, სადაც სხვანი არ შეუშვიათ. ჭეშმარიტნი ნიჭნი ყოველთვის მიმწუხრში სხედან, ბრბოში, გამოფენიდან შორს... აკი ჯერ კიდევ კრილოვმა თქვა, ცარიელი კასრი მეტს რახრახებს, ვიდრე სავსეო...

უკეთუ იმათ თავიანთ თავში ნიჭი აქვთ, კიდევაც პატივს სცემენ იმას.

ისინი ნიჭის გულისთვის სწირავენ სიმშვიდეს, ქალებს, ღვინოს, ფაცურს... ისინი ამაყობენ თავიანთი ნიჭით. ისინი არ ლოთობენ მეშჩანური სასწავლებლის ზედამხედველთან და სკვორცოვის სტუმრებთან, ესმით რა, რომ იმათ გვერდით საცხოვრებლად არ არიან მოწოდებულნი და მხოლოდ სააღმზრდელო გავლენას უნდა ახდენდნენ. ამასთანავე ისინი გულაზიზნი არიან...

ისინი თავიანთ თავში ზრდიან ესთეტიკას. ტანსაცმლიანები ვერ იძინებენ, ვერ იტანენ, თუ თვალი მოჰკრეს კედლის ნაპრალში ბაღლინჯოების გროვას. არ ძალუძთ მინძური ჰაერის სუნთქვა. არ შეუძლიათ ნაფურთხ იატაკზე სიარული, ვერ იტანენ ვერც ნავთის ქურას.

ისინი ცდილობენ შესაძლებლობისდაგვარად შეამოკლონ და გააკეთილშობილონ თავიანთი სქესობრივი ინსტინქტი... თუ ქალთან წვანან, პირში უნდა ასუნთქონ, გამოიტანონ იმისი ლოგიკა, სულ არ უნდა განუდგნენ განზე – ეს ყოველივე კი რის გულისთვის უნდა ქნან! აღზრდილნი ამ შემთხვევაში არც ისეთი გეჩოები არიან. იმათ ქალისგან უნდათ არა ლოგინი, არა ცხენის ხვითქი, არა ყალბი ორსულობის მიზნით მუცლის გაბერვის უნარი... ისინი არაყს არ ყლურწავენ, არც კარადებს ყნოსავენ, რამეთუ იციან, რომ ის კარადები ღორები არ არიან. სმით ისინი მხოლოდ მაშინ სვამენ, როცა თავისუფალნი არიან... რამეთუ უნდათ mens sana in corpore sano.*;

ასეთი რამ არის აღზრდა... რომ აღიზარდო და იმ წრის დონეზე დაბლა არ იდგე, რომელ წრეშიც მოხვდი, საკმარისი არ არის მარტო პიკვიკის წაკითხვა და ფაუსტის მონოლოგის დაზეპირება. არასაკმარისია, თუ ეტლს მოაჯდები და იაკიმანკაზე წახვალ, რათა ერთ კვირაში უკანვე გამოიქცე...

აქ საჭიროა განუწყვეტელი დღედაღამ მუშაობა, მუდმივი კითხვა, საფუძვლიანად შესწავლა, ნებისყოფა... აქ ძვირფასია ყოველი საათი.

* * *

ერთ ჭკვიანზე ათასი რეგვენი მოდის, ხოლო ერთ ჭკვიან სიტყვაზე – 1000 სულელური სიტყვა და ეს ათასი ახშობს და ამიტომ არის, რომ ასე ცუდად მიიწევენ წინ ჩვენი ქალაქები და სოფლები. უმრავლესობა, მასა ყოველთვის ჩლუნგად რჩება და ყოველთვის ჩამხშობი იქნება; ბევრად აჯობებს, თუ ჭკვიანი ხელს შეაშველებს, იმედს ჩაუსახავს და თავის დონემდე წამოსწევს ამ მასას. ბევრად აჯობებს, დასახმარებლად მატერიალურ ძალას თუ მოუხმობს, გაიყვანს რკინიგზებს, ტელეფონებს, ტელეგრაფებს, რაც გაამარჯვებინებს კიდეც და ცხოვრებასაც წინ წააწევინებს.

* * *

პარგი აღზრდა ის კი არ არის, რომ სუფრაზე კერძს რასმე არ დააქცევ, პირიქით, თუ ამას სხვა ჩაიდენს და შენ ვერ შეამჩნევ, კარგი აღზრდა ის არის.

* * *

ერთმა კარგი ოჯახის ბიჭუნამ, ჭირვეულმა, ცელქმა, ჯიუტმა საგონებელში ჩააგდო მთელი ოჯახი. მამამ, მოხელემ, როიალზე დამკვრელმა, შეიძულა შვილი, ერთხელაც ბაღში გაიყვანა, სიამოვნებით აუჭრელი კანჭები და შეიზიზღა; შვილი ოფიცერი გახდა, მაგრამ მამას მაინც ეზიზღებოდა.

* *ჯანსაღი სული – ჯანსაღ სხეულში (ლათ.)*

(გაგრძელება იქნება)

მასწავლებლებსა და აღზრდაზე

საკმაოდ ჭკვიანი ანტოშა ტაგანროგის გიმნაზიაში საშუალო მოსწავლე იყო და ორჯერ დარჩა ერთსა და იმავე კლასში. „თავისი საოცარი სასკოლო წლები“ მთელი ცხოვრება ახსოვდა, ხოლო სიძულვილი თავის აღმზრდელთა მიმართ გამოხატა „კაცი ფუტლიარში“ სახელით ცნობილ მოთხრობაში: „ერთ თვეში ბელიკოვი გარდაიცვალა. ყველამ დავასაფლავეთ, ესე იგი, ორივე გიმნაზიამ და სემინარიამ... გამოგიტყდებით, ძალიან სასიამოვნოა ისეთი ადამიანების დასაფლავება, როგორიც ბელკოვი იყო. როდესაც სასაფლაოდან ვბრუნდებოდით, ყოველი ჩვენგანის სახეზე სევდიანობა იხატებოდა: არავის არ სურდა ამ სიამოვნების გრძნობის გამოხატვა, რომელი გრძნობაც იმას ჰგავდა, ჩვენ ოდესღაც რომ განვიცდიდით, ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა უფროსები შინიდან გაემგზავრებოდნენ ხოლმე და ჩვენ ერთ-ორ საათს დავრბოდით ბაღში და სრული თავისუფლებით ვტკბებოდით. ოჰ, თავისუფლებავ, თავისუფლებავ!.. სასაფლაოდან კარგ გუნებაზე დავბრუნდით“. სად „გაქრნენ ამა სოფლისთვის უხილავნი ცრემლნი“, განსვენებული ბერძნულის მასწავლებლის გამო დაღვრილნი? რაც არ დაღვრილა, რა უნდა გამქრალიყო? სასაფლაოდან, როგორც საღამოს წვეულებიდან, ყველანი ისე დაბრუნდნენ. ფსიქოლოგთა აზრით, მწერალი დისკომფორტს განიცდიდა სკოლაში სწავლისგან და ეს პირობები სიკვდილამდე 6 წლით ადრე გადაიტანა ქაღალდზე. იგი ცდილობდა თავისი სასკოლო წარუმატებლობის გარკვევას. ბევრ კარგ მასწავლებელზეც დაწერა. მან თვითონ „სამი სანიმუშო სკოლა ააშენა სოფლად“.

ანტონ ჩეხოვისთვის ბევრად წარმატებული გამოდგა სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლა. ეს, ალბათ, იმითაც უნდა აიხსნას, რომ აქ ისეთი ცნობილი ექიმი-პროფესორები ასწავლიდნენ, როგორებიც იყვნენ თავიანთი დროის დიდად სახელგანთქმული ნიკოლაი სკლიფასოვსკი და გრიგორი ზახარინი!

* * *

სოფლად სკოლის მზრუნველად დავინიშნე... მასწავლებელი იღებს 23 მანეთს თვეში, ჰყავს ცოლი, ოთხი შვილი და უკვე გაჭაღარავებულია, თუმცა ჯერ მხოლოდ 30 წლისაა. იმდენად გაჭირვებულია, რომ რაზედაც არ უნდა ჩამოუგდო სიტყვა, ის მაინც თავის ხელფასს მიადგება. ამ მასწავლებლის აზრით, პოეტებმა და პროზაიკოსებმა უნდა წერონ მხოლოდ ხელფასის მომატებაზე; როცა ახალი მეფე ძველ მინისტრებს შეცვლის, ალბათ, მასწავლებელთა ხელფასიც შეიცვლება...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №263-265 (2018 წელი)
იხ. №1 -2, 6-8 (2019 წელი)

„რაკურსის“ დანახული რაკურსები

ქართველი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი საქართველოში სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიდერი კომპანიის მაგთიკომის საქველმოქმედო საქმიანობა: წლების მანძილზე მისი მხარდაჭერით სამამულო კულტურაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

მაგთიკომის არაერთი საგულისხმო პროექტის დასახელება შეიძლება მეცნიერების, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა სფეროებში, რომელმაც უდიდესი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. ბოლო დროს კი მაგთიკომის, ასე ვთქვათ, „კულტურულ ინტერესთა“ მთლიან სურათში კიდევ ერთი საგულისხმო შტრიხი გაჩნდა – აგერ

უკვე ორი წელია, რაც ნეოსტუდიასთან ერთობლივად ის ფოტოკონკურს „რაკურსს“ წარმატებით ატარებს.

დედაქალაქის მხატვრულ პალიტრაში ამ ახალი ელფერის – კონკურს „რაკურსის“ – გაჩენის მიზანია პროფესიონალი თუ მოყვარული ფოტოხელოვანების წახალისება და მათი ნამუშევრების საზოგადოების ფართო წრეებისთვის გაცნობა. 2018 წელს გამართულ ფოტოკონკურსში დაახლოებით ხუთი ათასი კაცი მონაწილეობდა, რომელთა შორის სხვადასხვა თემებზე წარდგენილ ნამუშევრებში გამარჯვებულები გამოვლინდა. მათი ვინაობა კი, მაგთიკომისა და ნეოსტუდიის წარმომადგენლებთან ერთად, პროფესიულმა ფოტოგრაფებმა – ბატონმა **სერგო ედიშერაშვილმა** და ქალბატონმა **ლელი ბლაგონრავოვამ** გამოავლინეს.

ამრიგად, 2018 წლის ფოტოკონკურს „რაკურსის“ გამარჯვებულები: მაგთიკომის მიერ დაწესებული პირველი პრიზის – 5000 ლარის მფლობელი გახდა **ერეკლე სოლოღაშვილი** (თემა „ამბავი“); მაგთიკომის მეორე პრიზი – 3000 ლარი გადაეცა **თათო აბდუშელიშვილს** (თემა „პორტრეტი“); მაგთიკომის მესამე პრიზის მფლობელი სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ მეგობრებმა დაადგინეს და 2000 ლარი **ნინო გელაშვილმა** დაისაკუთრა (თემა „რაკურსი“).

აღნიშნულის გარდა, ნეოსტუდიის მიერ დაწესებული პრიზი – ჟურნალ „მუდმივი კავშირის სამყაროს“ ერთ-ერთ ნომერში სარეკლამო გვერდზე ფოტოს განთავსება – **გიორგი მექერიშვილმა** მოიპოვა.

მაგთიკომის სათავო ოფისში „რაკურსში“ გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიის შემდეგ ჟიურის წევრებმა და ფოტოკონკურსის ლაურეატებმა მცირედი კომენტარები გააკეთეს.

სერგო ედიშერაშვილი, ჟიურის წევრი:

– თავდაპირველად დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „რაკურსის“ ორგანიზატორებს – მაგთიკომსა და ნეოსტუდიას. „ნორჩი ასაკის“ მიუხედავად, ფოტოკონკურსმა უკვე კარგი ავტორიტეტი დაიმკვიდრა როგორც პროფესიონალ, ასევე მოყვარულ ფოტოგრაფებს შორის და მასში მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვმაც ძალზე მოიმატა. ბევრი მეკითხება – კონკურსი გაისადაც თუ მოეწყობაო? ვფიქრობ, „რაკურსი“

ძალიან კარგი საქმეა, რომელიც ხელს უწყობს ქართული ეროვნული ფოტოგრაფიის პოპულარიზაციასა და განვითარებას. მსგავსი კონკურსები დიდ სტიმულს აძლევენ ახალბედა ფოტოხელოვანებს, ამდენად, შემდგომში მისი გაგრძელება დიდ სიკეთეს მოიტანს. თუკი ის წელსაც გაიმართება, რისი დიდი იმედიც მაქვს, კონკურსანტებს ვურჩევდი, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ გამოსაგზავნი ნამუშევრების შერჩევას.

ლელი ბლაგონრავოვა, ჟიურის წევრი:

– „რაკურსის“ ჟიურის წევრობა ჩემთვის საქართველოში მოგზაურობის ტოლფასია. ამდენად, ჩავლილი ფოტოკონკურსი ჩემთვის საოცარი გამოცდილება იყო, რომელიც პროფესიონალი და მოყვარული ფოტოგრაფების თვალით დანახული ქვეყნის ხილვამ შემძინა. თითოეული მათგანი საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული ხედვით გამოირჩევა, განსხვავებული თემატიკა იზიდავს – ზოგს ყოფითი ამბავი, ზოგს პორტრეტი, ზოგსაც პეიზაჟი იტაცებს...

კონკურსზე უამრავი საინტერესო კადრი იყო წარმოდგენილი, ამდენად მათში საუკეთესოთა შერჩევა საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა, რადგან გასათვალისწინებელი მრავალი ნიუანსი იყო.

მადლობა მინდა გადავუხადო მაგთიკომსა და ნეოსტუდიას ამ უაღრესად საგულისხმო კონკურსის ჟიურის წევრად მოწვევისთვის.

ეკა კეთილაძე, ნეოსტუდიის წარმომადგენელი:

– მთელი წლის განმავლობაში „რაკურსის“ 10 თემაზე ძალიან კარგი, მაღალ დონეზე შესრულებული ფოტოები შემოვიდა, რამაც, გარკვეულწილად, არჩევანის გაკეთება კი გაგვირთულა, მაგრამ ამით მისმა ხარისხმა და ავტორიტეტმა მოიმატა.

ერეკლე სოლოღაშვილი, მაგთიკომის პირველი პრიზის მფლობელი:

– დიდად მოხარული ვარ „რაკურსში“ გამარჯვებით, რასაც კიდევ უფრო ის ფაქტი აძლიერებს, რომ მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი მაგთიკომია, რომელიც სანდოობიექტურობის თვალსაზრისით.

ფოტოგრაფია ცხოვრებაში ჩემთვის ყველაფერია – პროფესიაც, ჰობიც. მიღებული პრიზი ჩემს პროფესიულ წინსვლას, ვფიქრობ, დიდად წაადგება.

გამარჯვების მომტანი ჩემი ფოტო თუშეთის სოფელ ფარსმაში გამართულ დღეობაზეა გადაღებული, სადაც მრავალ სანახაობას შორის დოღის კადრში მოხვედრილი ერთი მომენტია ასახული.

თათო აბდუშელიშვილი, მაგთიკომის მეორე პრიზის მფლობელი:

– ფოტოგრაფიას ძალიან დიდი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში. „რაკურსმა“ იმის სტიმული მომცა და გულდაჯერებულობა შემმატა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი წარმატების მიღწევას შევძლებ.

ჩემი ნამუშევრით მინდოდა მოლოდინისა და სიმშვიდის განცდის გადმოცემა. მიღებული ჯილდო აუცილებლად წაადგება ჩემს პროფესიულ ზრდას, რადგან ჩემი ოცნების კამერის შეძენის შესაძლებლობა მომეცა.

ნინო გელაშვილი, მაგთიკომის მესამე პრიზის მფლობელი:

– იმის მიუხედავად, რომ ფოტოგრაფიით დიდი ხანია, ვარ დაკავებული, „რაკურსი“ ჩემთვის პირველი კონკურსია. მასში მონაწილეობის მიღება კიედვ უფრო იმან განაპირობა, რომ ფოტოკონკურსი მაგთიკომისა და ნეოსტუდიის ერთობლივი პროექტი იყო.

ფოტოგრაფია ჩემი პროფესიაა. წარმატების მიღწევის იმედი კი მქონდა და, მართალია, პირველი ან მეორე ადგილის მოპოვება ვერ შევძელი, სამაგიეროდ საზოგადოების რჩეული გავხდი, რაც მომავალი გამარჯვებების მოსაპოვებლად საუკეთესო სტიმულია.

გიორგი მექერიშვილი, ჟურნალ „მუდმივი კავშირის სამყაროს“ სარეკლამო გვერდის გაფორმების უფლების მომპოვებელი:

– ძალიან საინტერესო და წამახალისებელი კონკურსია „რაკურსი“, მასში მონაწილეობის მიღებაც ამან განაპირობა. კონკურსმა შემდგომი მუშაობის, ახალი კადრების გადაღების, ახალი თემატიკით დაინტერესებისა და სხვა კონკურსებში მონაწილეობის კარგი სტიმული მომცა.

ძალიან გამახარა იმ ფაქტმა, რომ ჩემი ფოტო ნეოსტუდიის რჩეული გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მთელი ქვეყანა ნახავს, სწორედ ეს ფოტო დაიბეჭდება ჟურნალ „მუდმივი კავშირის სამყაროს“ 2019 წლის საგაზაფხულო ნომერში.

დიდი მადლობა ამისთვის მაგთიკომსა და ნეოსტუდიას!

* * *

მაგთიკომში აცხადებენ, რომ კომპანია ტრადიციულად გააგრძელებს კულტურისა და ხელოვნების მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას.

ოთარ ტურაგელიძე

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲠᲐᲪ „ᲑᲠᲔᲥᲡᲘᲢᲖᲔ“ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲗ

ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ „ᲑᲠᲔᲥᲡᲘᲢᲘ“?

„ᲑᲠᲔᲥᲡᲘᲢᲘ“ (Brexit) მოკლე ტერმინია გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროკავშირის დატოვების აღსანიშნავად. ბრიტანეთში გაერთიანების დატოვების შესახებ რეფერენდუმი 2016 წლის ივნისში გაიმართა და მოსახლეობის 51.9 პროცენტმა ხმა მისცა გაერთიანების დატოვებას. რეფერენდუმში მონაწილეობა მოსახლეობის 71.8 პროცენტმა მიიღო.

ევროკავშირს ბრიტანეთი 1973 წელს შეუერთდა. თავდაპირველად მემარცხენე ფრონტი ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირში გაერთიანებას და ბრიუსელისთვის სუვერენიტეტის ნაწილის დათმობას. თუმცა, მოგვიანებით ევროკავშირის წინააღმდეგ უკვე მემარჯვენე ფრონტი იბრძოდა. მარგარეტ ტეტჩერის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ერთიანი ბაზრის შექმნას მხარს უჭერდა, ბრიტანეთის ევროკავშირთან ურთიერთობა გაცივდა.

ბრიუსელსა და ლონდონს შორის დაძაბულობამ კულმინაციას საბოლოოდ 2015 წელს პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონის საარჩევნო კამპანიის დროს მიაღწია. მან პირობა დადო, რომ რეფერენდუმს ჩაატარებდა. 2016 წელს მან ეს პირობა შეასრულა.

ᲠᲐ ᲔᲢᲐ�პᲖᲔᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ?

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ 2017 წლის 29 მარტს, ევროკავშირს ოფიციალურად შეატყობინა გაერთინების დატოვების სურვილის შესახებ. ლონდონმა ევროკავშირის ლისაბონის შეთანხმების (რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაერთიანების „კონსტიტუციის“ ფუნქციას ირგებს) 50 მუხლი აამოქმედა, რომელიც საშუალებას აძლევს გაერთიანების წევრ სახელმწიფოს, დატოვოს ბლოკი. შედეგად მხარეებს ორი წელი მიეცათ პირობებზე შესათანხმებლად. სწორედ ამიტომ, საბოლოო ვადა 2019 წლის 29 მარტია. ამ ეტაპზე ორივე მხარე ამ თარიღს განიხილავს, როგორც საბოლოოს. ეს პირობა პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის ინიციატივით ბრიტანეთის კანონად იქცა.

თუ პარლამენტი არ დათანხმდება მეის მიერ ბრიუსელთან მოლაპარაკებულ პირობებს გაერთიანების დატოვების გარშემო, ამ შემთხვევაში სიტუაცია რთულდება. ამან შესაძლოა, საყოველთაო არჩევნები, კიდევ ერთი რეფერენდუმი ან და ორივე მათგანი გამოიწვიოს. მეის მიერ მოლაპარაკებულ შეთანხმებას კანონმდებლების დიდი ნაწილი მხარს არ უჭერს, მათ შორის საკუთარი პარტიიდან, ხოლო ბრიუსელი არ გეგმავს დამატებით დათმობებზე წასვლას.

მოვლენები შესაძლოა, სამი მიმართულებით განვითარდეს:

1. ტერეზა მეიმ მოიპოვოს მხარდაჭერა და შეთანხმებული პირობებით დატოვოს გაერთიანება, რის შემდეგაც გარდამავალ პერიოდში ბრიუსელი და ლონდონი საბაჟო თუ თავისუფალი გადაადგილების საკითხებზე შეთანხმდებიან.

2. ჩატარდეს ხელახალი რეფერენდუმი, თუ მომავალ კვირას მხარს არ დაუჭერენ ტერეზა მეის წინადადებას.

3. ლონდონმა ევროკავშირი შეთანხმების გარეშე დატოვოს.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ?

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ **აზრის კვლევები აჩვენებს, რომ დღეს უფრო მეტი ადამიანი, მოსახლეობის 54%, ევროკავშირში დარჩენას ემხრობა. თუმცა მოქალაქეების აზრი გაყოფილია, ორივე მხარე, მომხრე და მოწინააღმდეგე, დემონსტრაციებს მართავს.**

ბრექსიტი შეეხება ყველაფერს, ირლანდიის რეპუბლიკასთან ჩრდილოეთ ირლანდიის საზღვრიდან დაწყებული, შოტლანდიის ბედით თუ თავისუფალი მოძრაობის, პენსიების, განათლების და ჯანდაცვის საკითხებით დასრულებული.

თუ გაერთიანებული სამეფო შეთანხმების გარეშე დატოვებს ევროკავშირს, ამან შესაძლოა, ეკონომიკური კუთხით დიდ ბრიტანეთს დიდი დარტყმა მიაყენოს. ამ დროისთვის სხვადასხვა ინდუსტრიები ემზადებიან ამ სცენარისთვის.

ევროკავშირთან გაყრა დიდი ბრიტანეთისთვის რთული პროცესი აღმოჩნდა.

ᲐᲜᲘ ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲣᲠᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲬᲐᲠᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი, „ბრექსიტის“ შეთანხმების კენჭისყრამდე, კიდევ ერთხელ მიმართავს ბრიტანეთის პარლამენტს და მოუწოდებს მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რაც ქვეყნისთვის იქნება საჭირო.

„რეფერენდუმის შედეგები ყველასთვის ნათელი იყო — ბრიტანელ ხალხს სურს, მათი მომავალი ევროკავშირის წევრობის გარეშე წარიმართოს. ასე, რომ ჩემი გზავნილი პარლამენტისადმი არის ძალიან მარტივი: დროა, დაივიწყოთ თამაშები და გააკეთოთ ის, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება“, — დაწერა ტერეზა მეიმ მიკრობლოგ „ტვიტერზე“. ცოტა ხნის წინათ ტერეზა მეიმ ასევე განაცხადა, რომ ის მხარს არ უჭერს რეფერენდუმის ჩატარებას, რადგან ამან შეიძლება საზოგადოების დაყოფა გამოიწვიოს.

„მიმაჩნია, რომ ხელახალი რეფერენდუმის ჩატარება იქნება იმ მოქალაქეებისთვის უპატივცემლობის გამოცხადება, რომლებმაც ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლას უკვე მხარი დაუჭირეს“, — განაცხადა ტერეზა მეიმ.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲛ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚ ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ

ᲢᲠᲘᲡᲢᲐᲜ ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲯᲐᲨᲣᲨᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲒᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲞᲐᲢᲘᲛᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახელს უკავშირდება მორიგი სკანდალიც, 2016 წელს გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა გიგი კალანდაძემ განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე აშენებული საიდუმლო სამხედრო ობიექტების კოორდინატები და ინფორმაცია წითელაშვილმა ფირზე გადაიღო. აღნიშნული ფირი კი მოგვიანებით საქართველოს მტერი ქვეყნის ხელში აღმოჩნდა.

პრემიერ-მინისტრის აღნიშნულ ნაბიჯს ოპოზიციის მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის რეგიონული მართვის დეპარტამენტში განმარტება გაკეთდა.

დეპარტამენტის უფროსის მალხაზ თოფურიას განცხადებით, პრემიერის აპარატისთვის სია ორი წლის წინათ აქვს გაგზავნილი, ტრისტან წითელაშვილი კი ომის მონაწილე და შშმ პირია. ეს კი სიაში მოხვედრის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. მისივე თქმით, წითელაშვილი პრემიერისგან მისალოც ბარათებს მომავალშიც მიიღებს:

„თუ იქნება შშმ პირების სიაში, მიიღებს შესაბამისად მილოცვას, ასე რომ, აქ გადარჩევა-გადმორჩევა არ არის. ერთადერთი კრიტერიუმი იყო ომის მონაწილეობა და შშმ პირობა,“ — ამბობს თოფურია.

თავად ტრისტან წითელაშვილი კი ვარაუდობს, რომ პრემიერმა მის დამსახურებას ქვეყნის წინაშე გადახედა და ამიტომ გაუგზავნა მილოცვა:

„ალბათ, გადახედა ჩემს წარსულს, ჩემს დამსახურებებს ჩემი ქვეყნის წინაშე. აფხაზეთი-სამაჩაბლოს ბრძოლასთან დაკავშირებით და ის, რაც შეიარაღებულ ძალებში გამიკეთებია და დამინერგია. ყოველ წელიწადს მომდის მოლოცვები, როგორც ვეტერანს მომილოცა კვირიკაშვილმა შარშან და საჩუქრებიც კი მივიღეთ, ერთი ბოთლი კონიაკი იყო და ერთი ბოთლი ღვინო,“ — ამბობს წითელაშვილი.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲠᲘ�გᲘ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ **საოკუპაციო რეჟიმის დე ფაქტო პარლამენტში შექმნილი კომისია, რომელიც ე.წ საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებს სწავლობს, მუშაობის შედეგებს ე.წ საკანონმდებლო ორგანოს სესიაზე გაიტანს. ამის შესახებ sputnik-ossetia წერს.**

კომისიის წევრების თქმით, „საზღვრის დემარკაციის დროს წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები, მათ შორის პრობლემა არის ის, რომ სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლების სახლები აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე.“ ე.წ დეპუტატების თქმით, მსგავსი პრობლემით მათ სოფელ წნელისის მაცხოვრებლებმა მიმართეს. ასევე კომისიის წევრების თქმით, ზოგიერთი ადგილი ტერიტორიულად სამხრეთ ოსეთში მდებარეობს, ხოლო ადმინისტრაციულად — საქართველოში და პირიქით“.

... ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ, — ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დავით მათიკაშვილმა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით განაცხადა.

„უკრაინასთან ჩვენს სახელმწიფოს უაღრესად ახლო ურთიერთობა გააჩნია. ეს არ არის მხოლოდ პარტნიორობა, ძალიან დიდი მეგობრობაა. უკრაინას რაც აწუხებს, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ არც ერთი მხარის ინტერესების დარღვევა არ მოხდეს, ყველა ნაბიჯი კარგად გაანალიზებული უნდა იყოს. ეს არ არის გადაწყვეტილება, რომელზეც მყისიერად და ემოციურად საუბარი შეიძლება. პირველ რიგში, ეს არის საპატრიარქოს მიერ მისაღები გადაწყვეტილება, თუმცა ის რელიგიურ საკითხს სცილდება, რადგან პოლიტიკური მდგენელიც არის. ამ გადაწყვეტილების შემდეგ მოხდება სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება, რაც არის სწორი, ანუ გადაწყვეტილებას ეკლესია იღებს და სახელმწიფო ითვალისწინებს გადაწყვეტილებას. ეს არის რელიგიური და სამართლებრივ-პოლიტიკური საკითხი“, — განაცხადა მათიკაშვილმა.

◎ გუშინ ქართული თეატრის დღე იყო

უძველესი რიტუალებიდან დღევანდლამდე

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. ქართული თეატრს 1850 წლის 14 იანვარს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც თბილისში პირველი სპექტაკლი გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. ეს იყო პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში.

ქართული თეატრის ისტორია შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი უძველესი რიტუალური დღესასწაულები თეატრალური ხელოვნების ელემენტებს შეიცავდა. თრიალეთში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანა) გამოსახულია მისტერია – ნიღბოსანთა ფერხული; სახიობებსა და მისტერიებში, საგუნდო სიმღერებში შემორჩენილია ნაწყვეტები საფერხულო დრამებიდან („ამირანი“, „აბესალომ და ეთერი“, „ავთანდილი“ და „თავფარავნელი ჭაბუკი“). კოლხეთის სამეფოში კი ძვ.წ. VIII საუკუნეში კუტაიას (ახლანდელი ქუთაისი) მახლობლად არსებობდა არენა, სადაც იმართებოდა თეატრალიზებული სანახაობები.

ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოფი კესარიელის ცნობით, კოლხურ ქალაქ აფსარუნტში იყო თეატრის შენობა და იპოდრომი, ხოლო კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეში (ძვ.წ. III-II სს.) შემორჩენილი სათეატრო ნაგებობა თავისი სცენით, ორქესტრათითა და მაყურებლისთვის განკუთვნილი ნაწილით ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ ანტიკურ თეატრალურ-სანახაობით კულტურას.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში აღმოჩენილია ძველი ქართული დრამატული პოეზიის ფრაგმენტები და ელინისტური პერიოდის პანტომიმურ წარმოდგენათა ვრცელი აღწერა, ასევე მრავალი ქართული ძირეული თეატრალური ტერმინი. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV ს. 30-იანი წლები), შეიქმნა საეკლესიო თეატრი და დრამა. პარალელურად ვითარდებოდა ხალხური თეატრალური სანახაობა – „ბერიკაობა“, მოგვიანებით – „ყეენობა“.

შუა საუკუნეებში განვითარდა სასახლის კარის თეატრი – სახიობა – ნიღბოსანთა წარმოდგენები მუსიკის თანხლებით. თეიმურაზ I-მა და არჩილ II-მ სახიობისთვის შექმნეს დიალოგები და პოლემიკური დრამატურგიის ნიმუშები, ე.წ. „გაბაასებანი“. XVIII საუკუნის 90-იან წლებში ერეკლე II-ის სასახლესთან, გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით, შეიქმნა საერო თეატრი, სადაც ორიგინალურთან ერთად რუსულიდან ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესებიც იდგმებოდა. ამავე პერიოდში მუშაობას განაგრძობდა სასახლის კარის თეატრი – სახიობა, რომელსაც სათავეში დავით მაჩაბელი ედგა. მაჩაბლის დასის მრავალი მსახიობი გმირულად დაეცა 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრეები. 1845 წელს, თბილისში დაარსდა რუსული დრამატული თეატრი, ხოლო 1850 წელს აღორძინდა ქართული პროფესიული თეატრი (1850-1856). გიორგი ერისთავმა თეატრსა და დრამატურგიაში განავითარა რეალისტური მიმდინარეობა. 1851 წელს, თბილისის ქარვასლის თეატრში, გაიმართა პირველი საოპერო წარმოდგენა, ხოლო 1880-86 წლებში გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის გამზ.) აიგო სახაზინო თეატრი, რომელშიც 1896 წლიდან „თბილისის სახაზინო ოპერის თეატრი“, დღეს კი ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ფუნქციონირებს.

XIX საუკუნის ბოლოს ქართულ სცენაზე მოღვაწეობდა რეალისტური სამსახიობო სკოლის წარმომადგენელთა თვალსაჩინო პლეადა. XX საუკუნის დასაწყისში კი ასპარეზზე გამოვიდნენ პროფესიონალი რეჟისორები. 1921 წლის 25 ნოემბერს თბილისის ქართულ თეატრს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა.

რუსთაველის თეატრში რეფორმატორული ძიებების შემდეგ, კოტე მარჯანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ახალ თეატრს, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. სანდრო ახმეტელის სცენური შედევრები კი მსოფლიო თეატრალური ელიტის ყურადღების ცენტრში მოექცა და ქართულ თეატრს პირველი საერთაშორისო აღიარება მოუტანა. თეატრალური რეფორმის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარებას (ი.გამრეკელი, პ.ოცხელი, ე.ახვლედიანი, ლ.გუდიაშვილი, დ.კაკაბაძე, ს.ვირსალაძე).

გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაარსდა პროფესიული თეატრები, რომლებიც დღესაც განაგრძობენ ფუნქციონირებას.

დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს დრამატული, მუსიკალური, პანტომიმური, თოჯინური და მარიონეტული თეატრები; სცენის აღირებულ ოსტატებთან ერთად მოღვაწეობს მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგებისა და სცენოგრაფების ახალგაზრდა თაობა. ქართული თეატრების გვერდით წარმატებით მუშაობენ რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი კოლექტივები.

2018 წლის მთავარი მიღწევები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში

რითი გააოცა კაცობრიობა გასულმა წელმა – „კომერსანტი“ გთავაზობთ FORBES-ის მიერ შედგენილ ტოპ-8 მიღწევას მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში.

1. გენეტიკურად მოდიფიცირებული ადამიანების დაბადება

2018 წლის ნოემბერში ცნობილი გახდა ისტორიული მნიშვნელობის ექსპერიმენტის შედეგები – ჩინეთის ქალაქ შენცჟენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა ხე ცზიან კუიმ მოახდინა განაყოფიერებული კვერცხუჯრედების რედაქტირება – ტყუპების ნანასა და ლულუს გენომში ხელოვნურად იქნა შეტანილი მუტაცია შიდსის წინააღმდეგ.

ამ ამბავმა გამოიწვია დიდი აურზაური მეცნიერულ სამყაროში – საყოველთაო აზრით, ის ეწინააღმდეგება ეთიკის ყოველგვარ ნორმებს, რადგანაც შეიცავს რისკს სრულად ჯანმრთელი ბავშვებისთვის.

შედეგად მეცნიერულმა ჟურნალებმა უარი განაცხადეს ექსპერიმენტის თაობაზე მასალის გამოქვეყნებაზე, თუმცა, თავისთავად ადამიანების გენმოდიფიცირება არ შეიძლება არ შეფასდეს, როგორც რევოლუცია.

2. „გამსკდარი“ ბიტკოინი

2017 წელი იყო ბიტკოინის და ზოგადად კრიპტოვალუტებისთვის ტრიუმფალური – ყველა საუბრობდა მათ შესახებ. თუმცა, 2018 იყო დიდი გაწბილების წელი – კრიპტოვალუტების კურსი ჩამოიშალა, მილიონობით დოლარი გაქრა ჰაერში.

ვერ ვიტყვით, რომ ადამიანები გახდნენ თაღლითობის მსხვერპლი – ვირტუალურ ვალუტას და ბლოკჩეინს დღესაც იყენებენ სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა ნდობა შემცირებულია, ბლოკჩეინის, როგორც ტექნოლოგიის, მიმართ ნდობის აღდგენა შეუძლია მხოლოდ მის გამოყენებას რეალურ ბიზნესში.

3. სტივენ ჰოკინგის გარდაცვალება

კაცობრიობა დაიმახსოვრებს სტივენ ჰოკინგს როგორც მეცნიერების ბრწყინვალე პოპულარიზატორს, და სულის სიმტკიცის ერთ-ერთ სიმბოლოდ – სასიკვდილო დაავადების მიუხედავად, მან შეძლო ხანგძლივი და წარმატებული ცხოვრების გატარება.

თუმცა, მთავარი, რაც დარჩება კაცობრიობას, არის ჰოკინგის 3 მეცნიერული მიღწევა – პირველი – მან დაამტკიცა შავი ხვრელების არსებობა კოსმოსში; მეორე – აღწერა შავი ხვრელების თერმოდინამიკა; მესამე – მან გამოთვალა სამყაროში მატერიის განაწილების ფორმულა.

სწორედ მესამე ნაშრომში მას შეეძლო ნობელის პრემიის მიღება – თუმცა, მან ეს ვერ მოასწრო.

4. ნობელის პრემია კიბოს იმუნოთერაპიისთვის

2018 წელი ასევე იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლის საუკუნოვან საქმიანობაში – მეცნიერებმა დაამუშავეს წამლები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის იმუნური სისტემის უფრო აქტიურ ბრძოლას კიბოს უჯრედების წინაამღდეგ.

ეს მეთოდი იძლევა ადრეულ სტადიაზე გამოვლენილი დაავადების უფრო სწრაფი და ეფექტური მკურნალობის საშუალებას.

5. შეხვედრა სატურნთან

კოსმოსურმა აპარატმა „კასინიმ“, რომელმაც 21 წლის წინათ აიღო სტარტი სატურნის მიმართულებით, დაასრულა მისია. როგორც იყო გათვლილი მეცნიერების მიერ, აპარატი განადგურდა პლანეტის ატმოსფეროში, თუმცა, მანამდე მან გადასცა დედამიწაზე ფასდაუდებელი ინფორმაცია სატურნის შესახებ.

ზაფხულის მანძილზე მან 20-ჯერ გადაუფრინა პლანეტას და გადაიღო რამდენიმე ასეული სურათი, მათ შორის სატურნის რგოლების.

6. ტრილიონ დოლარად შეფასებული კომპანიები

2018 წელს Apple და Amazon-ის ღირებულებამ მიაღწია 1 ტრლნ. დოლარს, თუმცა, ყოველი ზღაპარი ერთხელაც მთავრდება – სულ რამდენიმე თვეში ორივე მაღალტექნოლოგიურმა გიგანტმა დაკარგა კაპიტალიზაციის 20% – ამის მიზეზი გახდა აშშ-ისა და ჩინეთის სავაჭრო ომი – ცნობილია, რომ ორივე გიგანტს აქვს მნიშვნელოვანი კავშირები ჩინეთთან.

თუმცა, ამით მათი სიდიადე არ დასრულდა, და ისინი კვლავ რჩებიან ყველაზე ძვირად ღირებულად მსოფლიოში.

7. უპილოტო ავტომობილები

2018 წელი გახდა უპილოტო ავტომობილების მასობრივი ტესტირების დასაწყისის წელი. ადრე ამ დარგით ინტერესდებოდნენ მხოლოდ აშშ-ში და მხოლოდ ისეთი კომპანიები როგორიცაა Waymo და Uber.

2018 წელს კი სატესტო ზონები გამოიყო რამდენიმე ქვეყანაში. ყველაზე წინ წავიდა აშშ-ის შტატი არიზონა, სადაც Uber უკვე იყენებს კომერციული შეკვეთების შესასრულებლად უპილოტო სატვირთო მანქანებს. რობოტი-ავტომობილები უკვე ჩვენ შორის არიან.

8. ახალი ზემძიმე კოსმოსური ხომალდები

70-ანი წლებიდან კაცობრიობა ძირითადად იყენებს კოსმოსურ რაკეტებს, რომლებსაც შეუძლიათ ორბიტაზე 20-30 ტონის ტვირთის ატანა – რაც საკმარისია, როგორც სამოქალაქო, ისევე სამხედრო მიზნებისთვის.

თუმცა, დრომ მოიტანა უფრო მძიმე ხომალდების არსებობის აუცილებლობა და ამ საქმეს შეუდგა მსოფლიოს მთავარი მეოცნებე – ილონ მასკი.

მისმა კომპანია SpaceX-მა ააშენა რაკეტა **Falcon Heavy**, რომლის ტვირთამწეობა შეადგენს 60 ტონას. ეს არაა საკმარისი მთვარეზე მოგზაურობისთვის, თუმცა იძლევა მარსის ორბიტის ირგვლივ ფრენის საშუალებას.

Falcon Heavy-მ ააღორძინა კონკურენცია კონსტრუქტორებს შორის – დღეს მთვარეზე და მარსზე შესაძლებელია მხოლოდ ავტომატიზებული ზონდების გაგზავნა.

ამჟამად ილონ მასკის კომპანია მუშაობს კიდევ უფრო მძიმე კოსმოსურ აპარატზე – SpaceX BFR.

თუმცა, პარალელურად აქტიურად მუშაობენ ჩინელები – მათ თითქმის ააშენეს ზემძიმე რაკეტა „ჩანჩუენი – 9“.

◎ ჭიდაობა

სისხლი ჩემპიონატს ვერ დაამშვენებს

თბილისის სპორტის სასახლეში ოთხ დღეს გრძელდებოდა ფალავანთა საქართველოს 2019 წლის ჩემპიონატი, რომელსაც თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის ათ-ათ წონით კატეგორიაში მედლების მფლობელებთან ერთად უნდა დაესახელებინა ნაკრები გუნდების წევრები, რომლებიც მოსამზადებელი შეკრებებისა და საერთაშორისო ტურნირების შემდეგ 8-14 აპრილს ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს.

საქართველოში ჭიდაობებს ხშირად დავსწრებივართ, გვინახავს გაწევ-გამოწევა, გინებაც და სხვა მსუბუქი ინციდენტებიც, მაგრამ ის, რასაც ამ უქმეებზე სპორტის სასახლეში შევესწარით, ყოველგვარ ზღვარს სცილდება – ცემა-ტყეპაში სპორტსმენები, მაყურებლებიცა და ფედერაციის მესვეურებიც ერთად იყვნენ ჩართული. ყველაფერი ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „კლასიკურის“ 87 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში ზურაბ დათუნაშვილისა და რობერტ კობლიაშვილის დაპირისპირებისას გონგამდე რამდენიმე წამით ადრე დათუნაშვილმა გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა. შეგირდს მწვრთნელი გამოექომაგა და დარბაზში სიტუაცია დაიძაბა, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. დაცვის სამსახურს მოჩხუბართა დასაშოშმინებლად რამდენიმე წუთი დასჭირდა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ დათუნაშვილი შეჯიბრებიდან მოხსნა და ჩემპიონად კობლიაშვილი გამოაცხადა, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი კიკაბიძემ კი განაცხადა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სადისციპლინო კომისია იმსჯელებსო.



საინტერესოა, ქართული ჭიდაობის სამშობლოში ნუთუ არ დადგა დრო, ხალიჩაზე სადავო საკითხები ცივილიზებულად გვარდებოდეს და არა გლადიატორული წესებით. გვესმის, რომ სპორტში ფული გაჩნდა და ყველას უნდა მზის ქვეშ ადგილი, მაგრამ მის მოსაპოვებლად კუნთების წრთობასთან ერთად ხომ სულის სიმაღლეცაა საჭირო. ნუთუ ზნეობას საბოლოოდ მოვუღეთ ბოლო! ის, რაც ამ ჩემპიონატზე მოხდა, დიდი სირცხვილია და ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

და საერთოდ, ქართულ სპორტში ხომ ვინმემ უნდა დაამყაროს წესრიგი.

ახლა კი ორივე სახეობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონთა ვინაობას გაგაცნობთ: **თავისუფალი ჭიდაობა:** ოთარ გოგავა (57 კგ, ხონი), ბექა ლომთაძე (61, ქუთაისი), ედემი ბოლქვაძე (65, სამტრედია), მირზა სხულუხია (70, ქუთაისი), ავთანდილ კენჭაძე (74, ამბროლაური), ნიკა კენჭაძე (79, ამბროლაური), სანდრო ამინაშვილი (86, თბილისი), ირაკლი მწითური (92, თბილისი), ელიზბარ ოდიკაძე (97, თბილისი), გენო პეტრიაშვილი (125, გორი). **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:** ნუგზარ წურწუმია (55, ხობი), რამაზ სურმანიძე (60, აჭარა), ლევან ქავჟარაძე (63, ოზურგეთი), საჩინო დავითაია (67, სენაკი), რამაზ ზოიძე (72, აჭარა), ბექა მამუკაშვილი (77, გარდაბანი), ლაშა გობაძე (82, აჭარა), რობერტ კობლიაშვილი (87, გარდაბანი), გიორგი მელია (97, სამტრედია), იაკობ ქაჯაია (130, წყალტუბო).

ლექსო ცინცაძე

◎ ხელბურთი

პირველობის შანსი ვერ გამოიყენეს

მალტაში დამთავრდა ხელბურთელ ვაუთა ეროვნული ნაკრები გუნდების ევრო 2022-ის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. მომდევნო რაუნდის ერთადერთი საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად საქართველოს, აზერბაიჯანისა და კვიპროსის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ. ასპარეზობის

პირველ ორ ტურში ქართველებმა და კვიპროსელებმა ორ-ორი მატჩი მოიგეს: კვიპროსი – აზერბაიჯანი 25:17, საქართველო – მალტა 48:21; აზერბაიჯანი – საქართველო 25:30, მალტა – კვიპროსი 20:38. ჯგუფში პირველი ადგილისა და პლეი ოფის საგზურის ბედი საქართველოსა და კვიპროსის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა.

კვიპროსი - საქართველო 25:24

ამ მატჩში თავიდან, მართალია, ქართველი ხელბურთელები დაწინაურდნენ, მაგრამ ტაიმი მათ 12:14 დათმეს. შეხვედრის მეორე ნახევარში ჩვენებს წარმატების რეალური შანსი მიეცათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს: საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე კვიპროსელები სამი ბურთის სხვაობით იგებდნენ პაექრობას. ქართველებმა ორი ბურთი გაქვითეს და ბოლო წამზე წონასწორობის აღდგენის შესაძლებლობაც იყო – კვიპროსელთა კარში პენალტი დაინიშნა. მის დასარტყმელად გავიდა 17 წლის გიორგი ცხოვრებაძე, რომელსაც ამ შეხვედრაში უკვე 11 გოლი ჰქონდა გატანილი, მათ შორის – ექვსიდან ექვსი შვიდმეტრიანით (ტურნირზე სულ 28 ბურთი). კვიპროსელთა მეკარე ნუნგოვიჩმა მისი დარტყმული ბურთი მოიგერია და საკუთარი გუნდი პლეი ოფში გაიყვანა. პაექრობის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ბურთების უკეთესი სხვაობით საგზური ჩვენ შეგვხვდებოდა.

პაექრობები დასრულდა A ჯგუფშიც, რომელსაც ლუქსემბურგმა უმასპინძლა: ბრიტანეთი – ბულგარეთი 20:24, ლუქსემბურგი – ირლანდია 35:18, ირლანდია – ბრიტანეთი 26:32, ბულგარეთი – ლუქსემბურგი 17:36, ირლანდია – ბულგარეთი 28:35, ლუქსემბურგი – ბრიტანეთი 29:19.

ლუქსემბურგი – 6, ბულგარეთი – 4, ბრიტანეთი – 2, ირლანდია – 0 ქულა.

ამდენად, კვიპროსი და ლუქსემბურგი პირდაპირ გავიდნენ პლეი ოფში. მესამე საგზურის მოპოვების შანსი საქართველოსაც შერჩა: პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ხელმოცარული 6 გუნდი 2019 წლის ივნისამდე ჩელენჯ-ტროფში ითამაშებს და მესამე იღბლიანი იქ გამარჯვებული გახდება. ევრო 2022-ის მეორე ეტაპი (პლეი-ოფი, შინ და სტუმრად) 2020 წლის აპრილშია დაგეგმილი.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილმა პირველი ეტაპი დაძლია

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ავსტრალიის ღია პირველობის სასტარტო წრეში ამერიკელი კრისტოფერ ეუბანქსი 6:4, 4:6, 7:6, 6:3 დაამარცხა. შეხვედრა 2 საათსა 45 წუთს გაგრძელდა.

პირველ სეტში ნიკამ 2:2-ზე ბრეიკი შეასრულა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა. მეორე პარტიაში ეუბანქსი 4:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც ბასილაშვილმა შეძლო სხვაობის შემცირება, მაგრამ სეტის გადარჩენა ვეღარ შეძლო. მესამე სეტში ტაი ბრეიკზე ნიკა 2:4-ს აგებდა, მაგრამ მოახერხა და საბოლოოდ 8:6 მოიგო, ხოლო. მეოთხე პარტიაში ქართველმა ჩოგბურთელმა 3:2-ზე ბრეიკი გააკეთა და ამერიკელს უკვე შანსი აღარ ჰქონდა.

მომდევნო ეტაპზე ნიკოლოზი მსოფლიო რეიტინგის 137-ე ნომერს, იტალიელ სტეფანო ტრავალიას შეხვდება, რომელმაც თანამემამულე გუიდო ანდრეოზი ოთხ სეტში დაამარცხა. ქართველი აქამდე ტრავალიას არ შეხვედრია. მატჩი ხვალ გაიმართება. სტეფანო 27 წლისაა და 100-ეულში არასდროს ყოფილა. აპენინელს კარიერაში 9 ITFის და ერთი ჩელენჯერის ტურნირი აქვს მოგებული. ნიკამ 45 სარეიტინგო ქულა და 75 000 დოლარი გამოიმუშავა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ჯგუფის გამარჯვებული 19 იანვარს გაირკვევა

სამი მოგება და ერთი მარცხი – ასეთი შედეგით დაასრულა თბილისის „ლოკომოტივმა“ რაგბიში კონტინენტის ფარის ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტურში რკინიგზელებმა „ავჭალაზე“ იტალიურ „ფიამე ოროს“ უმასპინძლეს და 47:10 (15:5) გაიმარჯვეს. საქართველოს ჩემპიონმა რომაელებს 6 ლელო გაუტანა და საპრემიო ქულაც დაიმსახურა.

ჩვენებმა სტუმრებს, პრაქტიკულად, ყველა კომპონენტში აჯობეს. ანგარიში შეხვედრის მე-10 წუთზე წიკლაურმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნა. მატჩის ბოლომდე ქართველმა ფულბეკმა გუნდს კიდევ 17 ქულა შესძინა, აქედან სამი – 55 მეტრიდან გატანილი ულამაზესი არეკნით. მომდევნო 8 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა ორი ლელო გაიტანეს და წიკლაურმა ერთი გარდასახა. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, თუმცა, ტაიმის ბოლოს „ფიამე ორომ“ ერთი ლელო გაქვითა – 15:5.

შესვენების შემდეგ ლოკომოტიველთა უპირატესობა აშკარა გახდა. დასაწყისში წიკლაურმა ჯერ არეკნით, მერე ზუსტი საჯარიმო დარტყმით თავის გუნდს 6 ქულა მოუტანა, რასაც ლელოც მიაყოლა. მატჩის ბოლომდე რკინიგზელებმა კიდევ სამი ლელო მიითვალეს, აპენინელებმა – მხოლოდ ერთი და მასპინძლებმა ეს პაექრობა დიდი სხვაობით – 47:10 მოიგეს. თბილისელებმა გათამაშების ცხრილის სათავეში გადაინაცვლეს, თუმცა, კონტინენტის ფარის ნახევარფინალში გავლენ თუ არა, ეს „ფიამე ოროზეა“ დამოკიდებული – 19 იანვარს რომაელები მეორე ადგილზე მყოფ „კალვიზანოს“ უმასპინძლებენ.

ამჟამად ჯგუფში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ლოკომოტივი“ – 14 (102:62), „კალვიზანო“ – 10 (65:46), „ფიამე ორო“ – 1 (52:111) ქულა.

გივი გაგუა

◎ სუმო

მარცხით დაიწყო

იაპონიაში დაწყებული სუმოისტთა 2019 წლის პირველი სუპერტურნირის – ჰაცუ ბაშოს სტარტი ლევან გორგაძისთვის (ტოჩინოშინი) წარუმატებელი გამოდგა. დასავლეთის მე-2 ოძეკის წოდების მქონე ქართველი სეკიტორი დასავლეთის მე-2 მაეგაშირა ჰოკუტოფუჯის დაუპირისპირდა. მეტოქენი ტრავმირებულნი შეხვდნენ ერთმანეთს.

საერთოდაც, ტოჩინოშინის შეჯიბრებაში ჩაბმა რამდენიმე დღის წინ სათუო იყო. იაპონელმა ქართველი ბიძგებით დოჰიოს კიდესთან მიიყვანა და ოშიდაშით დაამარცხა კიდეც. პირველ დღეს წააგეს, ასევე, ოძეკებმა – გოეიდომ და ტაკაიასუმ, იოკოძუნა კისენოსატომ.

ფავორიტთაგან წარმატებით იასპარეზეს იოკოძუნებმა – კაკურიუმ და ჰაკუჰომ, რომლებმაც, შესაბამისად, პირველ მაეგაშირა ტოჩიოძანსა და კომუსუბ მიოგირიუს აჯობეს.

რიგით მე-2 დივიზიონ ძურიოში დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნა თემურაზ ჯუღელმა (გაგამარუ), რომელმაც მე-3 დივიზიონის (მაკუშიტა) მონღოლ ლიდერ კირიბაიამას სძლია.

თამაზ პატარიძე

სანთელი

ჯილდა (ჩიტო) გურგენიძის ნათელ სულოვნას

ქართული მედიცინის ღირსეული წარმომადგენელი, ჰიპოკრატეს სამედიცინო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი, ქალბატონი **ჯილდა (ჩიტო) გურგენიძე** გამოაკლდა ჩვენს სახელოვან საზოგადოებას. წავიდა ჩვენგან ქართული სიდარბაისლით, სულიერი სისპეტაკით გამორჩეული, ნიჭიერებით შემკული ქალბატონი.

ქალბატონმა ჯილდამ 1977-78 წლებში თბილისის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკო-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში დაიწყო შრომითი საქმიანობა სამეცნიერო მიღწევების დანერგვის მიმართულებით, საიდანაც იგი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნად იქნა დაწინაურებული. 1978-1999 წლებში ამავე სტრუქტურის მთავარი სპეციალისტია, ხოლო 2000 წელს ქალბატონი ჯილდა გურგენიძე მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის კათედრაზე აგრძელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას, სადაც მისმა უაღრესად ღრმა ერუდიციამ და ფართო პროფესიონალურმა დიაპაზონმა, ჰუმანიტარულ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა სიღრმისეულმა ცოდნამ განაპირობა ქალბატონი ჯილდას წარმატებები სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მიმართულებით. პროფესორმა ჯილდა გურგენიძემ სტუდენტთა შორის უაღრესად პოპულარული და ღირსეული პედაგოგის სახელი მოიპოვა. მისმა თავმდაბლობამ და საქმისადმი ერთგულმა დამოკიდებულებამ საზოგადოებაში გულწრფელი სიყვარული განაპირობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ჯილდა გურგენიძის მიერ გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები.

მან არაერთი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და რამდენიმე ენაზე დაიბეჭდა. მათ შორის გამორჩეულია ორი მონოგრაფია-დილოგია: „История Медицины и Религии Древнего Востока“ და „История Медицины и Религии Древней Греции и Рима“ (2005). მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედიოდა ასევე რენესანსული მედიცინის, მედიცინისა და მითოსის ურთიერთმიმართების საკითხები, ბიოეთიკის ისტორიული ასპექტები და მრავალი სხვა. კვლევებში იგი მონაწილეობდა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან ერთად. დაჯილდოებულ იქნა „ოქროს საწმისის“ საპატიო მედლით.

წავიდა ჩვენგან უაღრესად განათლებული, ფართო ერუდიციის ადამიანი, ჩინებული ინტელიგენტი, რომელმაც მეუღლესთან, საქვეყნოდ ცნობილ ინჟინერ-მშენებელთან, ბატონ ზაურ გურგენიძესთან ერთად ქვეყანას შესძინა ღირსეული ქართული ოჯახი შესანიშნავი შვილებით, აღიარებული პროფესიონალიზმითა და საყოველთაო ავტორიტეტით.

ქალბატონი ჯილდა მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ქვეყანას და ხალხს. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ღირსეული მამულიშვილისთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველოს საინჟინრო აკადემია.

ქართულმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა სამედიცინო დარგის გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი

ჯილდა (ჩიტო) გურგენიძე

ქალბატონი ჯილდას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრებისა და კოლეგების გულში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჯილდას სული.

გ. აბრამიშვილი, ზ. ბუაჩიძე, ს. ბუკია, ზ. გასიტაშვილი, ჯ. გახოკიძე, მ. გიორგაძე, დ. გორგიძე, ი. გორგიძე, ლ. ზამბახიძე, ჯ. იოსებიძე, ლ. კლიმიაშვილი, შ. ნაჭყებია, ნ. ნებიერიძე, გ. სალუქვაძე, ზ. სოფრომაძე, რ. სტურუა, ა. ფრანგიშვილი, რ. შენგელია, ა. შერაზადიშვილი, ო. წეროძე, გ. ჯავახაძე.

შვილები დავით, ეკა გურგენიძეები, შვილიშვილები ანა, გიორგი გურგენიძეები, დავით, სანდრო ჭადაშვილები, შვილთაშვილები ირაკლი კიზირია, ერეკლე ჭადაშვილი, რძლები მარინა, ზენათა, გულიკო გურგენიძეები, სიძეები რამაზ ჭადაშვილი, თორნიკე კიზირია, მძახლები ინა თოფურია, ბელა ზაუტაშვილი, ირაკლი კიზირია, დარეჯან მხეიძე, მაზლიშვილი დავით გურგენიძე, დეიდაშვილები მარინა შათაშვილი, მანანა ხარაძე, მარინა ცხოვრებაშვილი, ბიძაშვილები ავთო ბარბაქაძე, პეტრე, ქეთინო კალაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯილდა (ჩიტო) გურგენიძე

პანაშვიდი 15, 16 I, 17 საათზე. მისამართი: ფანასკერტელის ქ. 23. დაკრძალვა 17 I, 14 საათზე. გამოსვენება: სიონის საკათედრო ტაძრიდან.

ლალა დუშუაშვილი, გია პლატონიშვილი, ეკა და შალვა ბაქრაძეები, ხათუნა და პაპუნა ნემსაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯილდა (ჩიტო) გურგენიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მღვდელმსახურებმა ჯვრის მონასტერი დაკეტეს

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის გოგიტა კაპანაძის განცხადებით, ჯვრის მონასტრის დაკეტვა მონასტრის წინამძღვრის თვითნებობაა.

„დღეს მონასტერი დაკეტილია, რაც ალბათ მეექვსე საუკუნის მერე არ მომხდარა. საქმის კურსში ჩავაყენე საპატრიარქო, სადაც ამ ფაქტის შესახებ არ იცოდნენ და მიპასუხეს, რომ საკითხში გაერკვევიან. მამა კონსტანტინეს მხრიდან მსგავსი გაფრთხილება იყო, რომ, თუ მერია გარემოვაჭრეებს არ გაიყვანდა ტერიტორიიდან, მონასტერს დაკეტავდა. ეს კი მათი მხრიდან უსამართლო მოთხოვნაა,“ — განაცხადა კაპანაძემ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობის აკრძალვა მონასტრის წინამძღვრის მამა კონსტანტინეს მოთხოვნაა. მისი თქმით, აღნიშნულ თემაზე მერიასა და სასულიერო პირებს შორის შეხვედრაც გაიმართა, თუმცა მღვდელმსახურებს მოთხოვნის მიზეზი არ განუმარტავთ.

„სასულიერო პირები ზაფხულიდან ითხოვენ, რომ მონასტრის ეზოს მიმდებარე ტერიტორიიდან გარემოვაჭრეები გავიყვანოთ, თუმცა ეს შეუძლებელია და ჩვენ ამას არ გავაკეთებთ. იქ დგანან ადამიანები, რომლებსაც სხვა შემოსავალი არ აქვთ და ისინი დგანან იმ ტერიტორიაზე, რომელიც არც მონასტერს ეკუთვნის და არც მუნიციპალიტეტს — ის არის სახელმწიფოს საკუთრება. მათი ვაჭრობით ხელს არავის უშლიან. როგორც იცით, მცხეთაში მშენებლობებზე არის მორატორიუმი, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ნებართვა მივცეთ ამ ადამიანებს, რომ მათ საკუთარ ეზოებში რამე ააშენონ ან ღობეები გახსნან და ისე ივაჭრონ, შესაბამისად, ვერ ხდება ალტერნატივის შეთავაზება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი ადამიანებს შემოსავლის ერთადერთ წყაროს ვერ გადავუკეტავთ“, — დასძინა კაპანაძემ საზოგადოებრივ მაუწყებელთან.

* * *

არ ვიცით, როდის გაიხსნება ჯვრის მონასტერი, — ამის შესახებ საპატრიარქოს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ მცხეთის ჯვრის მონასტრის დაკეტვასთან დაკავშირებით განაცხადა.

„გარევაჭრობამ მონასტრისთვის შეუფერებელი, ძალიან უსახური ფორმა მიიღო. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მამა კონსტანტინეს არაერთგზის დაუყენებია ეს საკითხი, მაგრამ არ მოხერხდა ამის გადაწყვეტა და შემდგომ მიიღო ასეთი ზომები. მიჭირს პასუხი, რამდენად იყო მისი ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული საპატრიარქოსთან, ვინაიდან მე არ ვარ ქალაქში, თავად ჩემთვის ეს ფაქტი სიახლე იყო“, — განაცხადა ჯაღმაიძემ.

მეუღლე ნათელა გიორგობიანი, შვილი ლალი გოზალიშვილი, შვილიშვილი ირაკლი სიგუა, რძალი ლანა პაჭკორია, ძმისშვილები ლია, დალი ჯიქიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან



ლევან ვარლამის ძე ქაჯაიას

გარდაცვალებას

პანაშვიდი 14, 15 I, დაკრძალვა 17 I, სოფელ ონოლიაში (მარტვილის რაიონი).

უახლოესი მეგობრები ოთარ მეტრეველი, ბიჭიკო ასკურავა, გეგუ მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან ღირსეული პიროვნების

თენგიზ აბუსერიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

ყურადღება!

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 14 იანვრის №33/ს ბრძანების საფუძველზე მოხდა სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 14 დეკემბრის №1801/ს და 2019 წლის 04 იანვრის №3/ს ბრძანებებით გამოცხადებული ორი ობიექტის ჩაშლა:

1) ქ. ზესტაფონი, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოგენური დანაგროვი (კატეგორია — P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა — 1464 ტონა).

2) ქალაქ ზესტაფონში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების ტექნოგენური დანაგროვი (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა — 5 247 ტონა).

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

სამეფო ოჯახის რძლები ერთმანეთის გაეგუნენ

9 იანვარს ქეით მიდლტონი 37 წლის გახდა, კემბრიჯის ჰერცოგინიამ დაბადების დღე მეუღლესთან და ახლობლებთან ერთად აღნიშნა, თუმცა მათ შორის არ ყოფილან პრინცი ჰარი და მეგან მარკლი. სასექსის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ქეითის იუბილეზე არყოფნის მიზეზი გაურკვეველია, უცნობია, ისინი არ ყოფილან მიწვეულნი, თუ მისვლაზე უარი თქვეს. ინფორმაციას ამის შესახ the sun-ი ავრცელებს.

ცოტა ხნით ადრე უცხოური მედია წერდა, რომ პრინცი უილიამი და ქეით მიდლტონი არ დაესწრნენ ღონისძიებას, რომელზეც ჰარი და მეგანიც უნდა ყოფილიყვნენ.

ქეითსა და მეგან მარკლს შორის არსებულ დაძაბულობაზე ყვითელი მედია დიდი ხანია, წერს, თუმცა რას უკავშირდება სამეფო ოჯახის რძლებს შორის არსებული დაპირისპირება და ნამდვილად არსებობს თუ არა ჯერჯერობით ამაზე ზუსტი პასუხი არაა.

კვერცხის ფოტო ყველაზე პოპულარული გახდა

კვერცხის ფოტომ, რომელიც ინსტაგრამზე ექაუნთმა @world_record_egg-მა გამოაქვეყნა, კაილი ჯენერის რეკორდი მოხსნა და ახლა ინსტაგრამზე ყველაზე მეტი 25 მილიონზე მეტი მოწონება აქვს.



ექაუნთი სპეციალურად შეიქმნა იმისთვის, რომ კაილი ჯენერისა და ტრევის სკოტის ბავშვის ფოტოს მოწონებების რეკორდი მოეხსნა. ფოტო 4 იანვარს გამოქვეყნდა წარწერით „მოდით ერთად დავამყაროთ მსოფლიო რეკორდი და მივიღებთ ფოტოს, რომელსაც ყველაზე მეტი მოწონება აქვს ინსტაგრამზე, მოვხსნათ კაილი ჯენერის არსებული რეკორდი (18 მილიონი)". ფოტოს თან ახლდა ჰეშთეგები **#LikeTheEgg #EggSoldiers #EggGang**. იმ ამბავს, რომ კვერცხმა აჯობა, კაილი ჯენერიც გამოეხმაურა და გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ის კვერცხის შეწვას ცხელ ასფალტზე ცდილობს.

მაკდონალდი და რელიგიური დაპირისპირება

ისრაელის ქალაქ ხაიფაში არაბ ქრისტიანებსა და პოლიციელებს შორის შეტაკება მოხდა. The Independent-ის ინფორმაციით, ამის მიზეზი მუზეუმში გამოფენილი ხელოვნების ნიმუში გახდა, სადაც სწრაფი კვების რესტორნების ქსელის „მაკდონალდსის" სიმბოლო რონალდ მაკდონალდი ჯვარზეა გაკრული.

მუზეუმში შეჭრის მცდელობისას სამი პოლიციელი დაშავდა. ჯვარზე გაკრული რონალდ მაკდონალდის სკულპტურის წინააღმდეგ გამოვიდა ისრაელის კულტურის მინისტრი მირი რეგევიც. მან მუზეუმის დირექტორს ექსპოზიციის გატანა სთხოვა, რადგან მისი თქმით, რელიგიის წმინდა სიმბოლოების უპატივცემულობა შესაძლოა უკანონო ყოფილიყო.



მუზეუმის ხელმძღვანელობამ ქანდაკების გატანაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ Sacred Goods-ის გმოფენა ეძღვნება კორპორაციების მხრიდან რელიგიური სიმბოლოების ცინიკურ გამოყენებას, ხელოვნებამ კი ძალადობა არ უნდა წააქეზოს.

ჯვარზე გაკრული რონალდ მაკდონალდის სკულპტურა ფინელმა მხატვარმა იანი ლეიონენმა 2015 წელს შექმნა. ის ცნობილია ნამუშევრებით, რომლებშიც ცნობილი ბრენდების სიმბოლოებს იყენებს.

ტრამპი თურქეთს ეკონომიკური განადგურებით ემუქრება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თურქეთს განადგურებით ემუქრება იმ შემთხვევაში, თუ სირიიდან ამერიკული ჯარის გამოყვანის შემდეგ ოფიციალური ანკარა სირიელ ქურთებს დაესხმება თავს.

„დავიწყეთ სირიიდან ჯარის გამოყვანა, ამავდროულად საჰაერო დარტყმებს ვაყენებთ, ISIS-ის ნარჩენებს სხვადასხვა მიმართულებით...

ჩვენ გავანადგურებთ თურქეთს ეკონომიკურად თუ ის ქურთებს დაარტყამს. ასევე უნდა, შეიქმნას უსაფრთხოების ზონა 20 მილის მანძილზე. ანალოგიურად არ მინდა ქურთებმა მოახდინონ თურქეთის პროვოცირება.

რუსეთი, ირანი და სირია ISIS განადგურების მიმართულებით აშშ-ის პოლიტიკის ყველაზე დიდი ბენეფიციარები არიან — ბუნებრივი მტრები. ჩვენც ვისარგებლეთ, მაგრამ ახლა დროა, რომ ჩვენი ჯარები სახლში დაბრუნდნენ. დაუსრულებელი ომები უნდა შეჩერდეს." — წერს ტრამპი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ **კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი**, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

ახალი ყურსასმენები

კომპანია Waverly Labs-მა ტექნოლოგიურ გამოფენა CES-2019-ზე საკუთარი ყურსასმენები — Pilot წარადგინა, რომელსაც სინქრონულ რეჟიმში 15 ენაზე თარგმნა შეუძლია. თუკი ასეთი ყურსასმენები ორივე ადამიანს აქვს, მაშინ მათ საკუთარ ენაზე საუბარი შეუძლიათ და მის სიტყვებს მეორე აუცილებლად გაიგებს.

Pilot-ის მუშაობის სპეციფიკა ასეთია: ის სმარტფოთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მსგავსი ტიპის სერვისები უფრო მოთხოვნადი გახდა და მისდამი ინტერესი დღითი დღე იზრდება.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6686; ევრო - 3.0766;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4078
100 რუბლი - 3.9875; თურქული ლირა - 0.4835;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5740;
1000 სომხური დრამი - 5.4853.

ამინდი 15 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	-3,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+5

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+2,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+11
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge